# რუსეთის გამოუცხადებელი ომი, რომელიც ჩვენთვის სამამულო ომია!

## ახლა განსაკუთრებული ერთიანობა, პატრიოტიზმი და სიმტკიცე გვმართებს!


# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

კვირა, 10 აგვისტო, 2008 წელი.

№ 148 (6006)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

## მიხეილ სააკაშვილი: ვინც ჩვენ გვებრძვის, ის დემოკრატიასა და თავისუფლებას ებრძვის!










# თავს მოხვეული ომის ქრონიკა

# მიხეილ სააკაშვილი: ვინც ჩვენ გვებრძვის,



## მოიერიშეები დაფრინავენ სამოქალაქო რეისების მარშრუტებზე

საქართველო იმყოფება უცხოური აგრესიის მდგომარეობაში, რომელიც რუსეთის მხრიდან საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო მიმართულებიდან მოდის. საქართველო იბრძვის გადარჩენისათვის, — ასეთი განცხადება გააკეთა გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა უცხოური მედიისთვის გამართულ ბრიფინგზე.

როგორც მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რუსეთმა იერიში მიიტანა საქართველოს სატელეკომუნიკაციო სისტემაზე და შეტევას ახორციელებს საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო მიმართულებით.

პრეზიდენტის განცხადებით, ეს არის პატარა, დემოკრატიული ქვეყნის განადგურებაზე ორიენტირებული ომი.

სააკაშვილის განცხადებით, საქართველო ყველაფერს გააკეთებს, რათა დაიცვას მშვიდობიანი მოსახლეობა.

მისივე თქმით, დიდი ხანია, საუბრობდა, რომ რუსეთს აქვს გეგმა საქართველოს წინააღმდეგ, მაგრამ არავინ ისმენდა. დღეს კი, ფაქტობრივად, განხორციელდა ყველაზე დიდი სამხედრო შემოჭრა რუსეთის მხრიდან საბჭოთა სისტემის დაშლის შემდეგ.

საქართველოს პრეზიდენტმა იმედი გამოთქვა, რომ მსოფლიო გამოიღვიძებს და გარკვეულ რეალურ ზომებს მიმართავს, რათა შეჩერდეს სრულიად კრიმინალური და გიჟური აქტი საქართველოს წინააღმდეგ.

მისივე განცხადებით, საქართველო დღეს იბრძვის მსოფლიოს მშვიდობისთვის და იმედია, საერთაშორისო თანამეგობრობის თანადგომით ერთად აგრესია შეჩერდება.

საქართველოში გამოცხადებულია საომარი მდგომარეობა, რაც მოიცავს საყოველთაო მობილიზაციას ქვეყნის დასაცავად. საომარი მდგომარეობის მიუხედავად, არ შეიზღუდება დემოკრატიული თავისუფლება, — აღნიშნა სააკაშვილმა.

პრეზიდენტის განცხადებით, რუსულმა ჯარმა სამხრეთ ოსეთის რეგიონიდან გამოაძევა ეთნიკურად ქართული მოსახლეობა და დაიწყო მათი ეთნიკური წმენდა.

ამასთანავე, რუსული მოიერიშეები დაფრინავენ სამოქალაქო რეისების მარშრუტებზე, რაც სერიოზულ საფრთხეს ქმნის.

## შეიარაღებული თავდასხმის აღსაკვეთად

საქართველოში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, საქართველოს პრეზიდენტმა მიმართა პარლამენტს საქართველოში საომარი მდგომარეობის შემოღების შესახებ.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტში ნათქვამია, რომ რეგიონში დესტაბილიზაციის, მშვიდობიან მოსახლეობაზე შეიარაღებული თავდასხმისა და ძალადობის ფაქტების აღკვეთის, ასევე, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ასევე 98-ე მუხლის და მე-100 მუხლის პირველი პუნქტის, „საომარი მდგომარეობის შესახებ“ საქართფველოს კანონისა და „მობილიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამოცხადდეს საომარი მდგომარეობა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, საომარი მდგომარეობის ვადა განისაზღვროს 15 დღით.

საომარ მდგომარეობასთან დაკავშირებით გამოცხადდეს სრული მობილიზაცია და შეიარაღებული თავდასხმის აღსაკვეთად გამოყენებულ იქნას საქართველოს სამხედრო ძალები.

ამასთანავე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ საომარი მდგომარეობის გამოცხადების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს, სხვა შესაბამის ორგანიზაციებისა და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელებს.

## საქართველოში საომარი მდგომარეობა გამოცხადდა

პრეზიდენტის ბრძანებულება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საომარი მდგომარეობის გამოცხადების შესახებ პარლამენტმა 90 ხმით ერთხმად მიიღო.

პარლამენტის საგანგებო სხდომაზე პრეზიდენტის აღნიშნული ბრძანება იუსტიციის მინისტრმა ნიკა გვარამიამ წარმოადგინა, სადაც დეტალურად არის აღწერილი ყველა ის მიზეზი, რისთვისაც საომარი მდგომარეობის გამოცხადება გახდა საჭირო.

გარდა ამისა, პარლამენტის საგანგებო სხდომაზე ნიკა გვარამიამ აღნიშნა, თუ რას გულისხმობს საომარი მდგომარეობა.

როგორც მან განაცხადა, აღნიშნული აქტის მიღება იწვევს გარკვეული ზომების გამოყენებას, თუმცა ეს ზომები არის მართლწესრიგისა და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მობილიზაციის მიმართულებით.

არანაირი გარკვეული წნეხი არ იქნება მოსახლეობაზე და მას პრობლემები არ შეექმნება სურსათის უზრუნველყოფის, ვაჭრობისა და გადაადგილების მიზნით. თუმცა, დაშვებულია ცალკეული შეზღუდვების მიღებაც, რასაც უკვე



ცალკე დეკრეტი ესაჭიროება, — აღნიშნა გვარამიამ. ჯერჯერობით მსგავსი დეკრეტი პარლამენტში არ შესულა.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის თქმით, შესაძლებელია ტერიტორიული დათქმებიც. იმ შემთხვევაში, თუ საჭირო გახდა თუნდაც გადაადგილებაზე შეზღუდვა, აქ შეიძლება იმოქმედოს ტერიტორიულმა პრინციპმა.

გვარამიას განმარტებით, სიმძიმე, ძირითადად, სახელმწიფო ორგანოებს დააწვება, ანუ მათთვის არ არსებობს შესვენება, დასვენების საათები, იმუშავებენ 24-საათიან რეჟიმში. გარდა ამისა, შესაძლებელია სამხედრო მიმართულებითაც გარკვეული გადაწყვეტილებების მიღება.

მობილიზაცია ეხება საქართველოს მთელ ტერიტორიას, თუმცა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მობილიზაცია ეხება იმ პირებს, რომლებიც არიან მობილიზაციის სუბიექტები, ანუ რეზერვისტები და — არა რიგითი მოქალაქეები.

გვარამიას განცხადებით, აღნიშნული ბრძანებულება არანაირ ზედმეტ შეზღუდვებს არ ითვალისწინებს და ცხოვრება ჩვეულებრივ რიტმში უნდა გაგრძელდეს.

## ქვეყნის დაცვის გარდა, სხვა არჩევანი არა გვაქვს

ქალაქ ცხინვალსა და მთლიანად ცხინვალის რეგიონში საქართველოს სამთავრობო ჯარები დაკავებულ პოზიციებს ინარჩუნებენ და კრიმინალური რეჟიმისგან რეგიონის გათავისუფლების ამოცანას ასრულებენ.

ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძემ პარლამენტის გუშინდელ საგანგებო სხდომაზე განაცხადა.

მისი განცხადებით, ცხინვალში ქართული შენაერთების ოსურ დაჯგუფებებთან და რუსეთთის თავდაცვის რეგულარულ ჯარებთან შეტაკებები კვლავ გრძელდება.

ღამის განმავლობაში მიმდინარე მძიმე შეტაკებების მიუხედავად, ჩვენ ვაკონტროლებთ ცხინვალს, მის გარშემო ყველა სტრატეგიულ სიმაღლეს, მთელს რეგიონს ჯავისა და როკის გვირაბის მისადგომების გარდა, — განაცხადა დავით ბაქრაძემ.

მისივე თქმით, რუსული მედიისა და, ზოგადად, რუსული მხარის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს რუსული და ოსური ძალები ორი დღეა ცხინვალს აკონტროლებენ, მიზანმიმართულად გავრცელებული სრული სიცრუეა.

ბაქრაძემ აღნიშნა, რომ გაცილებით ნაკლებია მსხვერპლი, ვიდრე ამის შესახებ რუსული საინფორმაციო საშუალებები იუწყებიან.

თუმცა, რა თქმა უნდა, მსხვერპლი უდიდესი ტრაგედიაა და მე ყველა დაღუპულის ოჯახს სამძიმარს ვუცხადებ, — განაცხადა დავით ბაქრაძემ.

დავით ბაქრაძემ, ასევე, აღნიშნა, რომ რუსეთის ფედერაცია უკვე საქართველოს სამოქალაქო და ეკონომიკურ ობიექტებს ბომბავს და ეს პროცესი არანაირად არ არის დაკავშირებული ცხინვალისა და აფხაზეთის კონფლიქტებთან.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის შეფასებით, ეს არის საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული ღია სამხედრო აგრესია და საქართველო თავდაცვით ომს აწარმოებს.

ოცდამეერთე საუკუნეში ვერავის წარმოედგინა, რომ რუსეთი მეზობელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე რეგულარული ჯარის ნაწილებს და ტანკებს შეიყვანდა და საჰაერო დაბომბვას განახორციელებდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მოხდა და ჩვენ ერთად დგომისა და ქვეყნის დაცვის გარდა სხვა არჩევანი არ გვაქვს, — განაცხადა დავით ბაქრაძემ.

## ბუშმა მხარდაჭერა ტელეფონით აღგვითქვა

გუშინ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აშშ-ს პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს ტელეფონით ესაუბრა. საქართველოს პრეზიდენტმა ამერიკელ კოლეგას საქართველოში შექმნილი მდგომარეობა დეტალურად გააცნო. თავის მხრივ ჯორჯ ბუშმა საქართველოს სრული მხარდაჭერა აღუთქვა.

ინტერპრესნიუსი და ჯი-ეიჩ-ენი



# თავს მოხვეული ომის ქრონიკა

# ის დემოკრატიასა და თავისუფლებას ებრძვის!



## პრეზიდენტს უფლება აქვს, გამოსცეს კანონის მქონე ძალის დეკრეტები

საომარი მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა ექსპერტმა ვახტანგ ხმალაძემ.

როგორც მან განაცხადა, კონსტიტუციისა და კანონის თანახმად, საომარი მდგომარეობის დროს პრეზიდენტს უფლება აქვს, გამოსცეს კანონის მქონე ძალის დეკრეტები.

დეკრეტებით შეიძლება შეიზღუდოს რიგი კონსტიტუციური უფლებებისა. თუ რომელი უფლება და რა მოცულობით შეიზღუდება, ეს დეკრეტით უნდა იყოს განსაზღვრული. ასეთებია, მაგალითად გადაადგილების უფლება, საკუთრების უფლება, შეკრებებისა და მანიფესტაციების უფლება, გაფიცვები და ა.შ. უფლებების შეზღუდვასთან დაკავშირებული ასეთი ტიპის დეკრეტი პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, დეკრეტი გაუქმებულია", — განმარტავს ხმალაძე.

ამასთან, საომარი მდგომარეობის პირობებში, პრეზიდენტს შეუძლია, დეკრეტით განსაზღვროს ამა თუ იმ საწარმოს მუშაობის განსაკუთრებული რეჟიმი.

საუბარია იმ საწარმოებზე, რომლებიც არის სასიცოცხლო დანიშნულების — პურის საცხობები, საავადმყოფოები და სხვა, რაც საჭიროა ქვეყნის ნორმალურად ფუნქციონირებისთვის. შეიძლება, რიგ საწარმოებში დანიშნონ დროებითი ხელმძღვანელები. შესაძლებელია, რომ რიგი შეზღუდვებისა კერძო სტრუქტურის ობიექტებზეც გავრცელდეს, — აცხადებს ხმალაძე.

ამასთან, ხმალაძე აღნიშნავს, რომ საომარი მდგომარეობის გამოცხადების დროს ხდება რიგი უფლებების წარმოქმნა აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის და პრეზიდენტისთვის.

გამოიყენებენ თუ არა ამას და რა ფარგლებში, ეს უნდა გამომდინარეობდეს არსებული ვითარებიდან; უფლებების შეზღუდვაც უნდა განხორციელდეს გონივრულ ფარგლებში, — განმარტავს ხმალაძე

ხმალაძე განმარტავს, რომ საომარი მდგომარეობის გამოცხადება ავტომატურად საყოველთაო მობილიზაციას არ გულისხმობს და მას ხელისუფლება საჭიროების შემთხვევაში გამოაცხადებს.

## აშშ-ისა და რუსეთის ურთიერთობების გადახედვის საკითხი დგება

აშშ-ის წარმომადგენლობითი პალატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე დიდი შეშფოთებით ადევნებს თვალს სამხრეთ ოსეთში განვითარებულ მოვლენებს და საგანგებო განცხადებას ავრცელებს. აშშ-ის კონგრესი შეშფოთებით აღნიშნავს, რომ საქართველოს ტერიტორია, მშვიდობიანი მოსახლეობა და მათ შორის საქართველოს დედაქალაქი რუსული ავიაციის მიერ რამდენჯერმე დაიბომბა.

მრავალი წლის განმავლობაში რუსეთის ხელისუფლება აიარაღებდა და მხარს უჭერდა მის საზღვართან არსებულ საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებს. ეს კიდევ ერთი ნათელი მაგალითია რუსეთის მიერ მეზობლების დაშინებისა და რუსეთის საგარეო პოლიტიკის სულ უფრო მეტ და მეტ აგრესიულ ბუნებაზე მეტყველებს, — ნათქვამია აშშ-ის კონგრესის მიერ გავრცელებულ განცხადებაში და იქვე აღნიშნულია, რომ დღევანდელი მოქმედებები, რუსეთის მიერ ირანისთვის ბირთვული და სარაკეტო ტექნოლოგიების გადაცემა, რუსეთის სულ ახლანდელი მტკიცება იმის შესახებ, რომ იგი კუბის დიქტატორულ რეჟიმთან აახლებს სამხედრო ურთიერთობებს, ასევე ცხადყოფს რუსეთის ხელისუფლების გაფუჭებულ ბუნებას და ამით, რა თქმა უნდა, დგება საკითხი ჩვენი და რუსეთის ფედერაციის ურთიერთობების უსწრაფესი გადახედვისა.

აშშ-მ და ჩვენმა მოკავშირეებმაც მხარი უნდა დაუჭიროთ საქართველოს ყველა დონეზე, მათ შორის გაეროს უშიშროების საბჭოშიც. ჩვენ კატეგორიულად უნდა მოვითხოვოთ, რომ რუსეთის ე. წ. სამშვიდობო ძალებმა დაუყოვნებლივ დატოვონ საქართველოს ტერიტორია და ისინი ჭეშმარიტად ინტერნაციონალური ძალებით უნდა შეიცვალონ, — ნათქვამია განცხადებაში.

აშშ-მ სწრაფად უნდა იმოქმედოს და უკრაინასა და თავის ნატოელ მოკავშირეებთან ბალტიის რეგიონში უსრაფესი კონსულტაციები უნდა გამართოს იმისათვის რათა რუსეთიდან მომავალი საფრთხე რეალურად შეაფასოს, — ნათქვამია განცხადებაში.

ინტერპრესნიუსი და ჯი-ეიჩ-ენი

◎ პოზიცია

## ომი არავის სჭირდება

### რუსეთში ქართველთა კავშირის განცხადება

ქართველთა კავშირმა რუსეთში გამოთქვა ღრმა შეშფოთება იმ მოვლენებთან დაკავშირებით, რომლებიც სამხრეთ ოსეთში ხდება. „ინფორმაცია, რომელიც საბრძოლო მოქმედებათა რაიონიდან მოდის, გულგრილად ვერ დაგვტოვებს, ვინაიდან ნებისმიერი ომის უდანაშაულო მსხვერპლი ხდებიან პირველ რიგში მშვიდობიანი მოსახლეობა, ქალები, მოხუცები, ბავშვები", — ნათქვამია ორგანიზაციის განცხადებაში. მის ავტორებს არ სურთ „დაასახელონ ამ სისხლისღვრის მოთავენი, ვინაიდან დამნაშავეთა ძიება ხელს უწყობს შეიარაღებული დაპირისპირების გაგრძელებას".

ქართველთა კავშირმა მოუწოდა კონფლიქტის მხარეებს, დაუყოვნებლივ შეაჩერონ საბრძოლო მოქმედებანი და მიუსხდნენ მოლაპარაკება მაგიდას. „ჩვენ ამავე დროს ვგულისხმობთ, რომ მშვიდობას ალტერნატივა არ გააჩნია, ხოლო ისინი, ვინც ამას არ ეთანხმებიან, არიან უბოროტესი მტრები როგორც ქართველი, ისე ოსი ხალხებისა", — ხაზგასმულია განცხადებაში.

ქართველთა კავშირმა რუსეთში მთლიანად დაუჭირა მხარი მსოფლიო გაერთიანების მოწოდებას დაუყოვნებლივ შეწყდეს ომი ცხინვალის რეგიონში და „მოუწოდა პირველ რიგში რუსეთს, ყველაზე გავლენიან ქვეყნებს მსოფლიოში, მიიღონ პოლიტიკური, დიპლომატიური ზომები, ყველაფერი გააკეთონ საქართველოში მშვიდობის დამყარებისათვის ამ ქვეყანაში მცხოვრები ყველა ხალხის საკეთილდღეოდ".

განცხადების ავტორებმა გამოთქვეს მწუხარება იმასთან დაკავშირებით, რომ „კონფლიქტი, რომელიც გადაიზარდა საომარ შეჯახებაში, მოხდა მსოფლიო სპორტული დღესასწაულის — პეკინში ოლიმპიური თამაშების გახსნის დღეს".

ქართველთა კავშირს რუსეთში განზრახული აქვს აღმოუჩინოს ჰუმანიტარული დახმარება ცხინვალის მოსახლეობას, ქართულ და ოსურ სოფლებს, რომლებიც დაზარალდნენ შეიარაღებული დაპირისპირების შედეგად.

ქართველთა კავშირმა რუსეთში გამოთქვა მზადყოფნა, შეხვდეს მოსკოვის ოსურ სათემოს, რათა „მიაღწიოს საქართველოს მიწაზე ურთიერთგაგებას მშვიდობის სახელით". „ეს ომი არავის სჭირდება", — ხაზგასმულია განცხადებაში.

## საჭიროა მთელი ძალების მობილიზება

### საფრანგეთში მყოფ ქართველ ლტოლვილთა სათვისტომოს მიმართვა

პროევროპული პრეფერენციების და ნატოში ინტეგრაციის სურვილის დაუფარავად გამოხატვის გამო საქართველო რუსეთის აგრესიის მსხვერპლი ხდება.

ამჟამად საქართველოს ტერიტორიის დაბომბვით რუსეთი დამოუკიდებელი ქვეყნის წინააღმდეგ სამხედრო შეტევას აწარმოებს.

თუ აქამდე სამშვიდობოების მანდატით რუსეთის ჯარების განლაგებით საქმე ოსეთის და აფხაზეთის მცოცავ ანექსიას ეხებოდა, ამჟამად ფაქტია ტერიტორიების ძალისმიერი ანექსია.

საფრანგეთის ქართველთა ასოციაცია მტკიცე პროტესტს გამოთქვამს რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ განხორციელებული აგრესიის გამო და როგორც საფრანგეთის, ასევე ევროპის ქვეყნების მთავრობებს მოუწოდებს, მკვეთრად გამოხატონ თავიანთი პოზიცია და ამხილონ რუსეთის მიერ განხორციელებული სამხედრო კოლონიზაციის მცდელობები.

საფრანგეთის ქართველთა სათვისტომო უპირობოდ უჭერს მხარს საქართველოს და ქართველ ხალხს, ამასთანავე, ღრმადაა დარწმუნებული, რომ საქართველოს მიერ შემოთავაზებული სამშვიდობო ინიციატივა არის ჭეშმარიტი პასუხი საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები აფხაზებისა და ოსების იდენტიფიცირებული მომავლისთვის. მხოლოდ საქართველოს მიერ შეთავაზებულ სამშვიდობო გადაწყვეტას შეუძლია, ეს ხალხები გადაარჩინოს კულტურული და ლინგვისტური რუსიფიკაციისთვის, რაც რუსეთის მიერ კონტროლირებად ყველა რეგიონში ხორციელდება.

საფრანგეთის ქართველთა ასოციაციის მთავარი კომიტეტი მოუწოდებს ყველა ქართველს, მათ მეგობრებს, უცხოეთში მცხოვრებ ქართველთა სათვისტომოებს, საქართველოს და ქართველი ხალხის ინტერესების დასაცავად მთელი ძალების მობილიზებისაკენ.

**ოთარ ზურაბიშვილი,**
თავმჯდომარე, პარიზი, 2008 წლის 8 აგვისტო

## საფრანგეთმა მედიატორის როლი უნდა იკისროს

გაერთიანებული ოპოზიციის წევრმა სალომე ზურაბიშვილმა საერთაშორისო თანამეგობრობას ცეცხლის შეწყვეტის მიზნით საქართველოში შექმნილ ვითარებაში აქტიური ჩართვისკენ მოუწოდა.

სალომე ზურაბიშვილმა საფრანგეთს, როგორც ევროკავშირის მოქმედ თავმჯდომარეს, მხარეებს შორის მოლაპარაკებათა აღდგენისთვის ადექვატური ქმედებების გატარება მოსთხოვა.

საფრანგეთმა მედიატორის მოვალეობა უნდა აიღოს, რათა მოლაპარაკებები აღადგინოს და აქამდე გაყინული და უეფექტო სამშვიდობო პროცესი აქციოს რეალურ სამშვიდობო მექანიზმად. საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართვა უნდა განხორციელდეს უმოკლეს ვადებში, რათა რუსეთის აგრესია გავრცელებული უკვე მთლიან საქართველოს ტერიტორიაზე შეჩერებულ იქნას, — განაცხადა ზურაბიშვილმა უცხოურ პრესასთან საუბარში.

„საქართველოს გზის" ლიდერი, სალომე ზურაბიშვილი საქართველოს ხელისუფლებასაც მიმართავს და მოუწოდებს, რომ კადრები, რომელიც ადასტურებს რუსეთის აგრესიას საქართველოს ტერიტორიის წინააღმდეგ, საერთაშორისო პრესის საშუალებით უფრო ეფექტურად გაავრცელოს რადგანც დღემდე მხოლოდ ცხინვალის დაბომბვის კადრები და რუსული კომენტარები ვრცელდება.

ჯი-ეიჩ-ენი



# თავს მოხვეული ომის ქრონიკა

# მიხეილ სააკაშვილი: ვინც ჩვენ გვებრძვის,

## რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ საინფორმაციო ომს ახორციელებს

**გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს უშიშროების საბჭოს სხდომაზე უშიშროების საბჭოს მდივნისაგან მოისმინა ინფორმაცია ქვეყანაში ამჟამად არსებული მდგომარეობის შესახებ. საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივნის ალექსანდრე ლომაიას ანგარიშის მოსმენის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ იგი მიმართავს საქართველოს პარლამენტს ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის შემოღების ბრძანების დასამტკიცებლად.**



პრეზიდენტმა საქართველოს სამთავრობო სტრუქტურებსა და მოსახლეობას სიმშვიდისკენ და ჩვეულ რეჟიმში მუშაობის გაგრძელებისკენ მოუწოდა.

მიხეილ სააკაშვილმა ასევე განაცხადა, რომ სამხედრო აგრესიის გარდა რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ მძლავრ საინფორმაციო ომს ახორციელებს.

— ჩვენ რუსეთი არა ვართ, სადაც ინფორმაცია მხოლოდ და მხოლოდ კრემლის ნებართვით ვრცელდება. ჩვენ ჩვენს მედიასაშუალებებს განუწყვეტლად უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ, რათა მათ, თავის მხრივ, ამ ინფორმაციის საზოგადოებისათვის მიწოდება შეძლონ, — აცხადებს მიხეილ სააკაშვილი.

## ჩვენ არავის ვეომებით — ჩვენ ჩვენი ძირძველი მიწის დაცვას ვცდილობთ

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე მსოფლიო თანამეგობრობას საქართველოში სიტუაციის მშვიდობიან გადაჭრაში დახმარებას სთხოვს. ამის შესახებ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის წინამძღვარმა პარასკევს საღამოს „სამების“ საპატრიარქო ტაძარში ქადაგებისას განაცხადა.**

— მინდა ვთხოვო დიდ ქვეყნებს, ისეთებს როგორიც რუსეთი, ამერიკა და ევროპული ქვეყნებია, რათა მათ ყველაფერი გააკეთონ, კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებისთვის, — განაცხადა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ.

ჩვენ არავის ვეომებით - ჩვენ ჩვენი ძირძველი მიწის დაცვას ვცდილობთ. ჩვენ მათ (ოსებს) მივიჩნევდით და მივიჩნევთ ჩვენს ძმებად და მოვუწოდებთ მათ, დარჩნენ ჩვენ ძმებად. ეს ბრძოლა საშიშია. მინდა შევთხოვო უფალს, რომ უფალმა მოგვცეს ძალა, პირველ რიგში სულიერი ძალა, მოგვცეს სიბრძნე და სიყვარული. შევთხოვოთ უფალს, რომ მან ჩვენ მშვიდობა და კეთილდღეობა მოგვცეს, — განაცხადა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ.

პატრიარქის განკარგულების თანახმად, საბრძოლო მოქმედებების დასრულებამდე ყველა მოქმედ ტაძარში ყოველდღიურად აღევლინება ლოცვები მშვიდობისათვის.

### ცხინვალი პრაქტიკულად დაცლილია

**როგორც იუწყებიან, ღამის განმავლობაში ჩამოგდებულია კიდევ სამი რუსული თვითმფრინავი. სულ ქართულმა შენაერთებმა შუადღისთვის ექვსი რუსული თვითმფრინავი გაანადგურეს.**

ქართული საჯარისო ფორმირებები არათუ ინარჩუნებენ გასულ დღეებში დაკავებულ პოზიციებს, არამედ ცდილობენ, დაიკავონ სხვა პოზიციებიც.

ამასთან, მიღებულია გადაწყვეტილება ერაყიდან 2000 ქართველი ჯარისკაცის სასწრაფოდ გამოყვანის შესახებ.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი აცხადებს, რომ ყველაფერი შემუშავებული გეგმის მიხედვით მიმდინარეობს.

### სენაკი და ფოთი ერთდროულად დაბომბეს

**რუსეთის ავიაციის მიერ ფოთის პორტის დაბომბვის შედეგად არიან დაღუპულები და დაშავებულები.**

რუსეთის ავიაციამ ფოთის პორტზე იერიში ზუსტად 8 აგვისტოს ღამის 12.00 საათზე მიიტანა. რამდენიმე ბომბი ნავსადგურის მეშვიდე საკონტეინერო ტერმინალზე ჩავარდა. დაახლოებით 15 წუთის განმავლობაში ჰაერში ისმოდა სროლის ხმა.

დაზიანდა ნავსადგურის სტრატეგიული ობიექტები. ჭურვმა მთლიანად დააზიანა ტექნიკაც. არიან დაღუპულები, თუმცა რაოდენობა უცნობია. დაჭრილია დაახლოებით 15-მდე ნავსადგურის დაცვის თანამშრომელი. ისინი გადაყვანილი არიან ფოთის ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში.

როგორც თვითმხილველები ამბობენ, რუსულმა ავიაციამ იერიში მიიტანა მეშვიდე საკონტეინერო ტერმინალზე, სადაც ჩამოვარდა პირველი ჭურვი, ხოლო რამდენიმე წუთის შემდეგ ჩამოვარდა რამდენიმე საჰაერო ბომბი.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სენაკის მეორე ქვეითი ბრიგადის ბაზაზე პირველი აფეთქება დაახლოებით ღამის 12 საათზე გაისმა. ბაზაზე რამდენიმე ჭურვი ჩამოვარდა. ჯარისკაცებმა დაახლოებით პირველ საათზე უკვე დაიწყეს ბაზის დატოვება, რადგანაც იქ გაჩერება შეუძლებელი იყო.



— როგორც ჯარისკაცები აცხადებენ, არიან დაჭრილები, თუმცა მათი რაოდენობა დაუზუსტებელია. იმ მომენტში, როდესაც ჩვენ ბაზის ჭიშკართან ვიყავით, გვთხოვეს, ჩამქრალი ფარნებით გვემოძრავა. ამ დროს კიდევ გაისმა აფეთქების ხმა. აფეთქება ამჯერად უკვე სენაკის რკინიგზის სადგურზე მოხდა. ამის შემდეგ უკვე მოსახლეობა ქუჩაში გამოვიდა, თუმცა პანიკა არ ყოფილა, — განაცხადეს ჯარისკაცებმა.

### წერეთელში ჩამოყრილი ჭურვები არ აფეთქდა

**გუშინ რუსულმა ავიაციამ მარნეულის რაიონის სოფელი წერეთელი დაბომბა.**

დასახლებულ პუნქტში ჩამოგდებულია რამდენიმე ჭურვი. საბედნიეროდ, არსებული ინფორმაციით, ჭურვები არ აფეთქდა და ამ აგრესიას მსხვერპლი არ მოჰყოლია.

იმ დროისთვის სოფელ წერეთლიდან მოსახლეობის ევაკუაცია მიმდინარეობდა. ეს სოფელი მჭიდროდ დასახლებულია.

### დაზღვევის მიზნით ჩააბნელეს

**რუსეთის სამხედრო ავიაციის მხრიდან მოსალოდნელი საფრთხისგან თავის დაზღვევის მიზნით, ბათუმს ელექტროენერგია გაეთიშა. ამის შესახებ პარლამენტის წევრმა კობა ხაბაზმა განაცხადა.**

### ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენზე იერიში მიიტანეს

**რუსეთის ფედერაციის საჰაერო ძალების ბომბდამშენებმა იერიში მიიტანეს საქართველოს ტერიტორიაზე გამავალ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის საერთაშორისო ნავთობსადენზე.**

აღნიშნული აგრესიის აქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, თუ რა სახის „სამშვიდობო ოპერაციას“ აწარმოებს რუსეთის ფედერაცია და რა რეალური ზრახვები ამოძრავებს ამ ქვეყნის ხელისუფლებას.

ცხადია, რომ რუსეთის ფედერაციის ეს ძალადობრივი ქმედება მიმართულია არა მარტო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის წინააღმდეგ, არამედ მთლიანად საერთაშორისო საზოგადოების ენერგოუსაფრთხოების ხელყოფისაკენ.




## რუსები ჯავაში არიან გამაგრებულნი

**საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანი ალექსანდრე ლომაია საქართველოს მოსახლეობას სიმშვიდისა და ერთიანობისკენ მოუწოდებს.**

ლომაია აცხადებს, რომ ყველა სამთავრობო სტრუქტურა ჩვეულ რეჟიმში მუშაობს. ამჟამად მისივე ინფორმაციით, საქართველოს პრემიერ მინისტრთან თათბირი მიმდინარეობს, სადაც საქართველოში რუსული ავიაციის საჰაერო დარტყმების შედეგად მიყენებული ინფრასტრუქტურული ზარალის შეჯერება მიმდინარეობს.

ლომაია უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ თითქოს ქალაქ ცხინვალში რუსული სამხედრო მძიმე ტექნიკა გამოჩნდა და საქართველოს სამხედრო შენაერთებმა პოზიციები დათმეს.

— კიდევ ერთხელ ვადასტურებ, რომ საქართველოს სახელმწიფოს სამხედრო შენაერთები თითქმის მთელ ქალაქ ცხინვალს აკონტროლებენ, საქართველოს სამხედრო შენაერთებს კარგად აქვთ გამაგრებული დაკავებული პოზიციები და მათ არც ერთი პოზიცია, საგუშაგო თუ სტრატეგიული სიმაღლე არ დაუთმიათ, — აცხადებს ალექსანდრე ლომაია.

მისივე თქმით, ქართული მხარის ხელთ არსებული ინფორმაციით, რუსული სამხედრი კონტინგენტის არც ერთი წარმომადგენელი ჯარისკაცი, პირადად სამხედრო ოპერაციებში არ მონაწილეობს. რუსული აგრესია საჰაერო დარტყმებით შემოიფარგლება.

— ცხინვალის რეგიონში მყოფი რუსული სამხედრო კონტინგენტის მთელი შემადგენლობა ჯავის რაიონშია გამაგრებული, — აცხადებს ლომაია.

საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანი ალექსანდრე ლომაია ასევე აცხადებს, რომ ქართული მხარის ხელთ არსებული ბოლო ინფორმაციით, საქართველოს ჰაერსაწინააღმდეგო ძალებმა დამატებით 4 რუსული გამანადგურებელი თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

— საერთო ჯამში საქართველოს საჰაერო ძალებს სულ 10 რუსული გამანადგურებელი ჰყავთ ჩამოგდებული, — აცხადებს ალექსანდრე ლომაია.

# თავს მოხვეული ომის ქრონიკა

# ის დემოკრატიასა და თავისუფლებას ებრძვის!

## გრძელდება გორის დაბომბვა

**ცხინვალის მახლობლად, მდინარე ლიახვის მიმდებარე ტერიტორიაზე, რუსული თვითმფრინავებიდან ჭურვები იქნა ჩამოყრილი. ამის შესახებ შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის პრესსამსახურიდან იტყობინებიან.**

ჭურვები იმ ადგილის მიმართულებით იქნა ჩამოყრილი, სადაც ქართული სამხედრო ქვედანაყოფებია განთავსებული.

შეგახსენებთ, რომ 8 აგვისტოს მთელი ღამის განმავლობაში რუსული თვითმფრინავების მიერ საქართველოს სხვადასხვა რეგიონები იბომბებოდა. აფეთქებათა შედეგად რამდენიმე ადამიანი დაიღუპა.

## ზუსტდება გორში დაღუპულთა და დაჭრილთა რიცხვი

**რუსული ავიაციის მიერ ქალაქ გორის გუშინდელ დაბომბვას, არსებული ინფორმაციით, 20-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, გაცილებით მეტია დაჭრილთა რაოდენობა.**

მხოლოდ 20-მდე ადამიანი გორში საცხოვრებელი კორპუსების აფეთქებისას დაიღუპა. დაუზუსტებელია, რამდენი ადამიანი დაიღუპა სამხედრო ბაზებზე საავიაციო იერიშების დროს.

მოსახლეობა უსაფრთხო ადგილებში გასვლას ცდილობს.

სატანკო ბატალიონზე რუსულმა მხარემ ორჯერ მიიტანა იერიში, აფეთქებულია ტყვია-წამლის საწყობი, ცეცხლი უკიდია ყაზარმებს.

როგორც გორში აცხადებენ, რუსულმა ავიაციამ სამხედრო ბაზებზე მიზანმიმართული დარტყმები განახორციელა, რაც ქვეყნის სამხედრო პოტენციალის დასუსტებას ისახავს მიზნად.

## ჯერ ტერიტორიები დაზვერეს, შემდეგ დაბომბეს



**გუშინ დილით რუსულმა მზვერავმა თვითმფრინავებმა ზემო აფხაზეთში მთავრობის წევრების საცხოვრებელი კოტეჯები დაზვერა. ზემო აფხაზეთის ტერიტორიებს „მიგ - 29“ ტიპის 8 მფრინავი აპარატი ზვერავდა.**

ბომბორადან ხეობაში ჯერ ოთხი მზვერავი თვითმფრინავი შეფრინდა, შემდეგ მას სამი მიყვა, რომელთაგან ერთ-ერთმა სოფელ აჟარაში მდებარე აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის წევრების საცხოვრებელი კოტეჯები დაზვერა.

აღნიშნულ ინფორმაციას ადასტურებს აფხაზეთის ფინანსთა მინისტრი ვახტანგ ჯგუბურია, რიომელიც აფხაზეთში იმყოფება.

გუშინ დილით თვითმფრინავებმა ბომბები სოფელ საკენში ჩამოყარეს.

## იბომბება ლიახვის ხეობა

**რუსეთის სამხედრო ავიაცია ლიახვის ხეობის ცხრავე სოფელს ბომბავს.**

როგორც ლიახვის ხეობის დეპუტატმა ბადრი ბასიშვილმა განაცხადა, ხეობა ინტენსიურად იბომბებოდა. მისივე თქმით, არის მსხვეპლიც. ხეობაში დარჩენილი მოსახლეობა შველას ითხოვს.

## კოპიტნარის ევაკუაცია დაიწყო

**დასავლეთ საქართველოში განხორციელებული დაბომბვების გამო ქუთაისის მახლობლად, კოპიტნარის დასახლებაში მცხოვრები მოსახლეობა პანიკამ მოიცვა.**

ადგილობრივებს შიში აქვთ, რომ რუსულმა თვითმფრინავებმა შეიძლება იერიში კოპიტნარის აეროპორტზეც მიიტანონ. აღნიშნულის გამო დასახლებაში მცხოვრებლები ქუჩაში არიან გამოსულები. ბავშვები და ქალები ევაკუირებულია.

კოპიტნარის დასახლებაში ძირითადად კომპაქტურად ჩასახლებული აფხაზეთიდან დევნილები ცხოვრობენ.

## სამხედრო აეროდრომიც დაბომბეს

**რუსულმა თვითმფრინავებმა კოპიტნარის აეროდრომის გვერდით მდებარე სამხედრო აეროდრომიც დაბომბეს.**

კოპიტნარში დაზიანებულია რადარის სისტემა, აფეთქებულია ასაფრენი ბილიკები. ამასთან,



ზოგიერთი ბომბი კოპიტნარში ჩამოგდებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ აფეთქდა.

დაჭრილები და დაშავებულები ქუთაისის სხვადასხვა საავადმყოფოებში გადაიყვანეს. ქუთაისში პანიკა არ არის და ჯერჯერობით მოსახლეობა ქალაქს არ ტოვებს.

საჭიროების შემთხვევაში, მოსახლეობის საევაკუაციო საკითხიც დადგა.

## დაბომბეს ზემო აფხაზეთი და ხონი

**რუსულმა ავიაციამ ცოტა ხნის წინათ ჭურვები ზემო აფხაზეთსა და ხონში ჩამოყარა. უკვე მეოთხედ დაიბომბა ვაზიანის სამხედრო ბაზა, ასევე ხონი.**

რუსულმა თვითმფრინავებმა ჭურვები სოფელ ქვაბჩარაში ჩამოყარეს, რომელიც ქართული მხარის მიერ კონტროლირებადი ბოლო დასახლებული პუნქტია.

## თბილისში ევაკუაცია დაიწყო

**თბილისში სტრატეგიული ობიექტებისა და ძირითადი სახელმწიფო სტრუქტურების ევაკუაცია დაიწყო.**

გავრცელებული ინფორმაციით, თბილისის ზოგ რაიონებში მოსახლეობის ევაკუაციაცაა დაწყებული.

## პრეზიდენტის რეზიდენციის მახლობლად მოსახლეობის ევაკუაცია დაიწყო

**ავლაბრის მიმდებარე ტერიტორიის ევაკუაცია დაიწყო. ავლაბრიდან გაჰყავთ მშვიდობიანი მოსახლეობა.**

როგორც ცნობილია, ავლაბარში საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენცია მდებარეობს.

ევაკუაცია ხდება ასევე თავდაცვის სამინისტროში და მის მიმდებარედ. მოსახლეობას მეტროს თავშესაფარში ჩასვლისკენ მოუწოდებენ.

## რუსებმა ჩვენი ინტერნეტსაიტები გაანადგურეს

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აფხაზეთის მედია ცენტრის ინტერნეტ საიტები განადგურებულია.** როგორც ცნობილი გახდა, ასევე განადგურებულია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საიტები. დღის მანძილზე აღნიშნული საიტები ავრცელებდნენ ინფორმაციას ოსეთში მიმდინარე მოვლენებზე, რასაც შეიძლება უკავშირდებოდეს მათი განადგურება რუსული სპეცსამსახურების მიერ.

## რუსები დაუფარავად შემოიჭრნენ

**საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოს სახელმწიფო იღებს ყველა აუცილებელ ზომას ქვეყნის დამოუკიდებლობისა და მოსახლეობის უსაფრთხოების დასაცავად.**

სამინისტროს ინფორმაციით, რუსეთის ფედერაცია ცდილობს სუვერენული ქვეყნის წინააღმდეგ სამხედრო აგრესია შენიღბოს ე.წ. „ჰუმანიტარული დახმარების“ და „მშვიდობისათვის იძულების ოპერაციის“ საფარქვეშ.

საქართველომ არაერთხელ გააფრთხილა საერთაშორისო თანამეგობრობა იმის თაობაზე, რომ რუსეთი მიზანმიმართულად ატარებდა საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ კონფლიქტურ ზონებში დაძაბულობის ესკალაციის, საქართველოს ტერიტორიის განუყოფელი ნაწილების – აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ანექსიის პოლიტიკას. დღეს საქართველო ფაქტობრივად იმყოფება მეზობელ აგრესიულ სახელმწიფოსთან საომარ მდგომარეობაში, – ნათქვამია განცხადებაში.

სამინისტროს ცნობით, რუსეთის ფედერაციამ დაიწყო სრულმასშტაბიანი სამხედრო აგრესია საქართველოს წინააღმდეგ. რუსეთის სამხედრო ავიაცია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ბომბავს სამხედრო და სამოქალაქო ობიექტებს. საქართველოს ტერიტორიულ წყლებს აფხაზეთის აკვატორიაში გაგზავნილია რუსეთის შავი ზღვის სამხედრო ფლოტის ხომალდები. 2008 წლის 9 აგვისტოს რუსეთის ფედერაციამ დაიწყო სახმელეთო სამხედრო ოპერაცია, საქართველოს განუყოფელ ნაწილში – ცხინვალის რეგიონში შემოიჭრა რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების 58-ე არმიის ნაწილები, რომელთა ამოცანად დასახულია ამ ტერიტორიაზე სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმის დამყარება.

## ითხოვენ რუსი სამშვიდობოების ამერიკელებით შეცვლას

**ამერკელი კანონმდებლები სამხრეთ ოსეთში ცეცხლის შეწყვეტას მოითხოვენ. ასევე ისინი ითხოვენ შეიცვალონ რუსი სამშვიდობოები აშშ-ის ეგიდის ქვეშ მყოფი შეიარაღებული ძალებით. ამის შესახებ „ნიუს რუს“ ინფორმაციით, საუბარია „იტარ-ტასის“ საშუალებით გავრცელებულ განცხადებებში, რომელიც აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ ჰოვარდ ბერმანმა და ამავე კომიტეტის წევრმა ილიანა როს-ლეიტინენმა გააკეთეს.**

მე ძალიან ვწუხვალ ძალადობის ესკალაციის გამო სამხრეთ ოსეთში. კონფლიქტის ყველა მონაწილეს მოვუწოდებ დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ცეცხლი და დაიწყონ პირდაპირი მოლაპარაკებები საკითხის მშვიდობიანი და დიპლომატიური გადაწყვეტისთვის, – განაცხადა ბერნმანმა.

მისივე თქმით, რუსეთის მთავრობამ უნდა გამოიყვანოს თავისი ჯარები და მოახდინოს ზეწოლა სამხრეთ ოსეთის აჯანყებულებზე, რათა მათ შეწყვიტონ ცეცხლი. საქართველოს ხელმძღვანელობამ კი სიმშვიდე შეინარჩუნოს და თავი აარიდოს შემდგომ სამხედრო ქმედებებს, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ სახიფათო კონფლიქტის ესკალაცია.

დემოკრატიული პარტიის კონგრესმენმა აღნიშნა, რომ აუცილებელია დავიცვათ სამოქალაქო საზოგადოება და თავიდან ავიცილოთ ჰუმანიტარული კრიზისი.

რესპუბლიკელი როს-ლეიტინენის განცხადება, რომელიც ცნობილია თავისი მკაცრი პოზიციით რუსეთის მიმართ, ამჯერადაც მკვეთრია.

აშშ-მ და ჩვენმა მოკავშირეებმა გაეროს უშიშროების საბჭოში საქართველოოს მხარე უნდა დავიკავოთ. ჩვენ ხაზი უნდა გავუსვათ რომ აუცლიებელია რუსეთის ე.წ სამშვიდობო ჯარების გამოყვანა და მათი შეცვლა ნამდვილად საერთაშორისო შეიარაღებული ძალებით აშშ-ს ეგიდით, – განაცხადა მან.



ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით

# თავს მოხვეული ომის ქრონიკა

## მიხეილ სააკაშვილი: ვინც ჩვენ გვებრძვის,

***არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციამ „დემოკრატიისთვის“ სხვა პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად „შერატონ მეტეხი პალასში“, საქართველოში შექმნილი უკიდურესად მძიმე ვითარების გამო, პრესკონფერენცია გამართა.***

***მათ შეიმუშავეს საგანგებო განცხადების ტექსტი, რომელიც დაეგზავნათ საერთაშორისო ორგანიზაციებს.***

***პრესკონფერენციის დასრულების შემდეგ, გავესაუბრეთ არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერებს, ექსპერტებს, პოლიტოლოგებს და სიტუაციის შეფასება ვთხოვეთ.***

**მამუკა არეშიძე, ექსპერტი კავკასიის საკითხებში:**
– გვინდა თუ არ გვინდა, რუსეთთან სამამულო ომის მდგომარეობაში ვიმყოფებით.

უამრავი ხალხია დაღუპული, იმაზე ბევრად მეტი, ვიდრე შეიძლება წარმოდგვედგინა – მშვიდობიანი მოსახლეობაც და სამხედროებიც. სამწუხაროდ, ქვეყანაში არასწორი საინფორმაციო პოლიტიკაა, შესაბამისი დემარშის შემდეგ აუცილებლად უნდა გამოვიწვიოთ ჩვენი ოლიმპიელები, ჩემი წინადადება იყო – ქართველი სპორტსმენები ოლიმპიადის გახსნის დღესვე წამოსულიყვნენ, მსოფლიოს ყურადღება რაღაც ფორმით უნდა მივიქციოთ. არ არის საკმარისი მარტო მსოფლიოს მაღალი რანგის ჩინოვნიკებთან ლაპარაკი. ნებისმიერი ქვეყნისთვის საერთაშორისო ინსტიტუტის აპარატი ძალიან მძიმეა, რომელიც უკიდურესად ნელა მუშაობს. ამ ხნის განმავლობაში, ჩვენ აქ ხალხი გვეღუპება. ამიტომ საჭიროა უფრო ქმედითი ღონისძიებები.

**– რა იქნება უახლოეს ხანში?**

– ეს აგრესია გაგრძელდება, ძალიან ვშიშობ, რომ არასწორი საინფორმაციო პოლიტიკისა და დაბნეულობის გამო მოსახლეობაში იმაზე მეტი პანიკაა, რაც შესაძლებელია. ამის გარდა, არ უნდა დაეცეს ჩვენი მებრძოლების მორალური სული.

ახლა ვართ გზაგასაყარზე. როგორც იტყვიან, სადაც ვიწროა, იქ გაწყდესო, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ რაც თავის დროზე აფხაზეთში მოხდა, ახლაც იგივე არ განმეორდეს. ამ შემთხვევაში ხელისუფლებამ უნდა იგრძნოს ხალხის მხარდაჭერა, ხალხმა – ხელისუფლებისა. ეს უნდა იყოს პერმანენტული, რადგან ჩვენი მარცხი აფხაზეთის მარცხზე ბევრად რთული შედეგებით დამთავრდება.

**ალი ბაბაევი, საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების კონგრესის თავმჯდომარე:**
– 300-მდე აზერბაიჯანელი რეზერვისტი სხვადასხვა სარეზერვო პუნქტშია, მათ შორის ისინიც, ვინც საქართველოს ჯარში მსახურობენ. ჩვენი კონგრესის წევრები ჰუმანტარული მისიით ფრონტის ხაზზე ჩავალთ და ყველანაირად მხარში დავუდგებით მებრძოლებს.

გორში იყო მობილიზებული ერთ-ერთი აზერბაიჯანელი, გვარად ჰუსეინოვი და დღეს დაჭრილი ღუდუშაურის კლინიკაში მიიყვანეს.

საქართველო რუსეთის აგრესიის მსხვერპლია, ამაზე საერთაშორისო ორგანიზაციებმა სათანადო რეაგირება უნდა მოახდინონ. საქართველოში მცხოვრებმა ყველა მოქალაქემ კი, განურჩევლად ეროვნებისა, საუთარი წვლილი უნდა შევიტანოთ ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, აზერბაიჯანელმა მოქალაქეებმა რუსეთის საელჩოსთან უკვე გავმართეთ საპროტესტო აქცია.

**ზაქარია ქუცნაშვილი, ასოციაცია „კანონი ხელისთვის“:**
– ცხადია, რომ ჩვენ საომარ ვითარებაში ჩართული ქვეყანა აღმოვჩნდით, სიტუაცია ისე ვითარდება, ეს ბრძოლები სამამულო ომში გადაიზრდება. სამამულო ომის დეფინიცია ნიშნავს იმას, რომ იბრძვიან არა მხოლოდ შეიარაღებული ძალები, არამედ – მოსახლეობაც. დარტყმის ობიექტია მშვიდობიანი მოსახლეობა გორში, ქარელში, ფოთში, სენაკში, ბოლნისში, მარნეულში.

შესაბამისად, ვაცნობიერებთ, რომ ძალთა თანასწორობა არათანაბარია. ამიტომაც აუცილებელია ჩვენი ერთობა. დღევანდელი აქციაც ამის გამოხატულებაა. არასამთავრობო ორგანიზაციის ლიდერებმა განაცხადეს, რომ ისინი იქ არიან, სადაც ხალხია. აქ არიან ქართველებიც, აზერბაიჯანელებიც, სომხებიც, იეზიდებიც...

რუსებს ორი სტრატეგია აქვთ, ან გაიყვანონ სამშვიდობოები და მერე დაგველაპარაკონ, ან აიღონ ცხინვალი და მერე დაიწყონ დიალოგი. ჩვენ თუ მათ ცხინვალის აღების საშუალება მივეცით, ეს იმას ნიშნავს, რომ საბოლოოდ დავკარგავთ საქართველოს ისტორიულ კუთხეს – შიდა ქართლს. ამიტომაც ჩვენ სხვა გამოსავალი არა გვაქვს, უნდა ვიბრძოლოთ სა-ქარ-თვე-ლოს-თვის.

**გიორგი ხუციშვილი, კონფლიქტოლოგი:**
– დავიწყოთ იმით, რა ხდება? – ეს არის რუსეთის ღია და დაუფარავი აგრესია სუვერენული საქართველოს წინააღმდეგ. რუსეთი ცდილობს ორი ამოცანის მიღწევას, პირველი, ეს არის საქართველოს, როგორც ქვეყნის დამცირება და დაშინება. მეორე – საქართველოს ჩათრევა გაჭიანურებულ საომარ მოქმედებებში, რომელიც გათვლილია იმაზე, რომ საქართველო, როგორც სახელმწიფო ვერ გაუძლებს გაჭიანურებულ საომარ მდგომარეობას. ამასობაში რუსეთის პროპაგანდისტული მანქანა მუშაობს, ჩრდილოკავკასიაში მოხალისეთა ჯგუფების მობილიზებაა. უკვე ცდილობენ, ცხინვალის რეგიონის მოსახლეობაში შიშის დათესვას, რომ მათ ფსიქოლოგიურად ვერ გაუძლონ.

საჭიროა ვიცოდეთ, რა ხდება ადგილზე – ცხინვალის რეგიონში. ამ მხრივ ინფორმაციის სიმწირეა. რუსული არხები მხოლოდ გადმოსცემენ ქართული აგრესიის შესახებ ცრუინფორმაციას – რომ თურმე საქართველომ მიწასთან გაასწორა ცხინვალი, იქ დახოცა მშვიდობიანი მოსახლეობა, იერიში მიიტანა რუს სამშვიდობოებზე. ამ ყველაფრის გამო რუსეთი იძულებულია, საპასუხო მოქმედებები აწარმოოს. ასეთ შემთხვევებშიც კი აბსოლუტურად წარმოუდგენელია საქართველოს მიმართ რუსეთის ქმედება.

რუსეთი ყოველთვის ადანაშაულებდა საქართველოს, რომ არღვევს ხელშეკრულებებს, ბლოკ-პოსტებს ათავსებს ცხინვალის რეგიონში. ეს ყველაფერი ხდებოდა ცხინვალის რეგიონთან მიმართებაში, ახლა კი რა ხდება? ეს არ არის საპასუხო ან რაიმე ქმედება კონფლიქტის ზონის შიგნით. ეს არის მთლიანად საქართველოს ტერიტორიის მიზანში ამოღება, მშვიდობიანი მოსახლეობის დახოცვა, სტრატეგიული ობიექტების და დასახლებული პუნქტების დანგრევა, ინფრასტრუქტურისთვის ზიანის მიყენება. ეს არის მიზანმიმართული ქმედება, რუსული ავიაციის წერტილოვანი დარტყმები საქართველოს დასასუსტებლად, მის დასაშინებლად და მოსახლეობაში პანიკის გამოსაწვევად. ეს არის მათი მიზანი.

**– რუსეთის პასუხად, ჩვენ რა უნდა მოვიმოქმედოთ?**

– უწინარესად, საერთაშორისო თანამეგობრობის ადეკვატური რეაქცია უნდა მოყვეს, ანუ წამყვანი სახელმწიფოები ამ საქმეში უნდა ჩაერიონ და შეჩერდეს რუსეთის აგრესია, საომარი მოქმედებები. შემდეგ კი უნდა პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს და წესრიგი დამყარდეს საერთაშორისო ეგიდის ქვეშ.

როგორ შეიძლება ამ აგრესიის შემდეგ ვინმემ მსოფლიოში გაუგრძელოს ან ცნოს რუსეთის მანდატი, როგორც მშვიდობისმყოფელისა, როგორც სამშვიდობო სამხედრო კონტინგენტის დაკომპლექტებისა და, საერთოდ, საქართველოში არსებულ კონფლიქტებში რუსეთს რაიმე როლი მიენიჭოს. ეს არის აბსოლუტურად წარმოუდგენელი.

სამშვიდობო მოლაპარაკების ფორმულა უნდა შეიცვალოს, ამ ფორმატის ინტერნაციონალიზაცია უნდა მოხდეს და სამშვიდობო ძალების შემადგენლობა შეიცვალოს. ეს უნდა იყოს საერთაშორისო სამშვიდობო ძალები. ამ შემთხვევაში გაეროს აკისრია მოვალეობა ამის გამო ქმედითი გადაწყვეტილებების მიღებისა, მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში განხორციელდება, თუ მოხერხდა ცეცხლის შეწყვეტა, რუსეთის ჯარების გაყვანა საქართველოს ტერიტორიიდან და გარკვეული წესრიგის მაგვარი მდგომარეობის აღდგენა საერთაშორისო ეგიდის ქვეშ.

**ირაკლი სესიაშვილი, სამხედრო ექსპერტი:**
– საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები ვითხოვთ ცეცხლის და მშვიდობიანი მოსახლეობის საჰაერო დაბომბვების შეწყვეტას. საერთაშორისო საზოგადოებრიობას მივმართავთ, მაქსიმალურად მხარში ამოგვიდგნენ და ლოგიკურად შეაფასონ მომხდარი, ყოველმხრივ მხარი დაგვიჭირონ, მათ შორის სამხედრო დახმარებითაც.

მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სამხედრო დახმარება გაგვიწიონ, რათა შევძლოთ რუსული აგრესიის შეჩერება, საჰაერო თავდასხმების მოგერიება და თავიდან ავიცილოთ მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლი.

როგორც ჩვენი ჯარისკაცები დღეს დგანან ერაყში ამერიკის ჯარებთან ერთად და იბრძვიან საერთო ინტერესებისთვის ასევე, ვითხოვ, ამერიკის შეერთებული შტატები მხარში დაგვიდგნენ და სამხედრო დახმარება გაგვიწიონ.

თუ რუსეთმა არ დაინახა წინააღმდეგობა, მისი თავხედობა საქართველოს ფარგლებსაც გადასცდება. ეს კონფლიქტი ეთნიკური არ არის, ეს არის რუსეთ-საქართველოს ომი, უფრო მეტიც, ეს არის გლობალური ომი, ბრძოლა ინტერესებისათვის.

ჩაიწერა
**თამარ შაიშმელაშვილმა**

## არ დავუშვათ კონფლიქტის ესკალაცია!

**ომი ყველას ყელში გაეჩხირა, - ასეთია დღეს საზოგადოებრივი აზრი**

---

რეპორტაჟი საავადმყოფოდან

# „ერთი სული მაქვს, მალე გამოვჯანმრთელდე და კვლავ თანამებრძოლებს შევუერთდე“

## ასეთია დაჭრილი ჯარისკაცების ერთობლივი გულისთქმა

***საომარი მოქმედებების დროს დაჭრილი რამდენი მეომარია ამჟამად ქვეყნის ერთ-ერთ დიდ სამკურნალო დაწესებულებაში – თბილისის რესპუბლიკურ საავადმყოფოში და როგორ მიმდინარეობს მათი მკურნალობა? – ამის გასაგებად ვეწვიე გუშინ დილით ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე მდებარე ამ კლინიკას. ექიმ მალხაზ გოგუას განმარტებით, დაჭრილთა უმეტესობის ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ ეტაპზე, სტაბილურია, თუმცა ზოგი მათგანი კვლავ რეანიმაციულ განყოფილებაში რჩება.***

– რაც შეეხება დაჭრილთა რაოდენობას, ამჟამად ჩვენთან ასორმოცდაათზე მეტი დაჭრილია. ჭრილობები ძირითადად ნაღმის ნამსხვრევებითაა მიყენებული. უმეტესობას სხეულის მსუბუქი დაზიანება აქვს და მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება, თუმცა არიან ისეთებიც, რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობა კვლავ მძიმეა.

დაჭრილთა შორის ერთს მარჯვენა ხელის ამპუტირება დასჭირდა, სამწუხაროდ, ძალიან ბევრი სისხლი ჰქონდა დაკარგული და ვერაფერი გავაწყვეთ.

საერთო ჯამში სულ ოცამდე სამხედროა მძიმედ დაჭრილი, თუმცა არა მგონია, მათ სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდეს.

თავად დაჭრილები კი საკმაოდ ოპტიმისტურად არიან განწყობილნი და როგორც ზოგიერთმა მათგანმა ინტერვიუში აღნიშნა, გამოჯანმრთელებისთანავე კვლავ ბრძოლის ველს მიაშურებს (თუმცა ყველა მათგანმა, თითქოს მოილაპარაკესო, ვინაობის დასახელებაზე უარი განაცხადა, – რა საჭიროა ჩემი სახელისა და გვარის წარმოჩენა, განა იქ, ბრძოლის ველზე, ან თუნდაც აქ, ყველანი ერთნაირი თავდადებით არ ვიბრძოდით საქართველოსთვის!).

**დაჭრილი სამხედრო:** გორის დაბომბვის დროს დავიჭერი ნაღმის ნამსხვრევით. ზოგი ჩემი მეგობარი ძალიან მძიმედაა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მალე გამოვჯანმრთელდებით და კვლავ შევძლებთ იარაღის დაჭერას. ერთი სული მაქვს, მალე გამოვჯანმრთელდე და კვლავ თანამებრძოლებს შევუერთდე. გაათმაგებული ჟინით ვიბრძოლებ.

**დაჭრილი სამხედრო:** ჩემგან სულ რაღაც ოცდაათიოდე მეტრის მოშორებით დაეცა ბომბი და შენობა მტვრად აქცია. ნამსხვრევი თავში მომხვდა, გონება დავკარგე და გრძნობაზე მხოლოდ გორის საავადმყოფოში მოვედი. შემდეგ კი თბილისში გადმომიყვანეს. იქ კიდევ უამრავი დაჭრილია, მათ შორის ქალებიც და მოხუცებიც. ისე კი მოსახლეობა ვაჟკაცურადაა, სახლის დატოვება არავის არ უნდა.

**დაჭრილი სამხედრო:** ჩვენი ყველა შეტევა სრული წარმატებით დასრულდა და ცხინვალს ჩვენ ვაკონტროლებთ. ტყუილია ინფორმაცია, რომ ვითომ ჯავასთან ოსები გვებრძვიან, იქ მარტო რუსი სამხედროები იმყოფებიან, რუსული საუბარიც გვესმოდა, გადაძახილები.

**დაჭრილი სამხედრო:** ჩვენი მხრიდან ყოველგვარ კომპრომისზე წასვლა დიდი შეცდომა იქნება, ახლა მხოლოდ შეტევაზე უნდა ვიფიქროთ. მათ არა აქვთ იმედი ძალა, ზოგს რომ ჰგონია... ჩვენ აუცილებლად ბოლომდე მივიყვანთ ჩვენს საქმეს.

**დასასრულ ისიც უნდა ითქვას, რომ ამ დროისათვის სამხრეთ ოსეთში განლაგებული ქართული შენაერთები მხოლოდ მცირე ნაწილია ჩვენი საერთო სამხედრო პოტენციალისა. როგორც მოგეხსენებათ, საყოველთაო მობილიზაცია ჯერ არ გამოცხადებულა, არადა კიდევ უამრავი ახალგაზრდაა მზად, ქვეყნის დასაცავად ტყვიას მიუშვიროს მკერდი.**

**ჯაბა ჟვანია**

# თავს მოხვეული ომის ქრონიკა

# ის დემოკრატიასა და თავისუფლებას ებრძვის!

## ერთადერთი კითხვა რესპონდენტს: ამ ძნელბედობის ჟამს რისი გაკეთება გვმართებს?..

### ახლა მართლაც განსაკუთრებით გვმართებს ერთიანობა!

**ვაღიაროთ, დიდი რუსეთი იმიტომ ერქვა და ჰქვია რუსეთს, რომ დამპყრობელია, ყველა ქვეყანა თავისად უნდა. ეს ერთი და მთავარი, მაგრამ არსებობს მეორე ჭეშმარიტებაც, რომ არანაკლებ დამპყრობელია ამერიკა. თუ რუსეთი ავღანეთში არ უნდა შესულიყო, რატომ უნდა შესულიყო ამერიკა ერაყში? ან ჩვენ რა გვინდა ერაყში, როცა ჩვენი ქვეყნისთვის ვერ მოგვივლია?**

გავიგოთ, ერთხელ და სამუდამოდ, ყველა დიდ ქვეყანასთან საჭიროა ზომიერი ურთიერთობა, მე არა ვარ მომხრე შეძრომისა, მაგრამ დიდი ქვეყნის პრეზიდენტს „ლილიპუტინი“ არ უნდა ვუწოდოთ. მიუხედავად ყველაფრისა, არც ერთ ქვეყანას არა აქვს უფლება, დაარღვიოს ჩვენი ერთობა, ჩვენი მთლიანობა.

დღეს კი ერთი რამ მიხარია: ის, რომ საქართველო უფრო მთლიანი გახდა დღეს, მთელმა მსოფლიომ უნდა იცოდეს, რომ ჩვენი დანგრევა მსოფლიოს სამომავლო ნგრევასაც ნიშნავს.

ჩვენ ისიც შეგვეშალა, რომ ბოლო წლების მანძილზე არ მივეცით თავს უფლება, დავმსხდარიყავით მაგიდასთან და ორივე მხარეს ერთად გვესაუბრა ძველ ძმობაზე, ძველ სიყვარულზე. მე ვეთანხმები პრეზიდენტს, რომ ახლა განსაკუთრებით საჭიროა ერთობა ქართველი ხალხის.

**ჯანსუღ ჩარკვიანი**

### გენიოსი იყო ის კაცი, ვინც რუსეთს ბოროტების იმპერია დაარქვა

**— რა უნდა ვილონოთ?!. გენიოსი იყო ის კაცი, ვინც რუსეთს ბოროტების იმპერია დაარქვა. ჩვენ ყოველთვის ვცდილობდით, რომ არ დაგვენახა, გაგვენელებინა ის შხამი, რასაც რუსეთი ანთხევდა მსოფლიოში: ხან ტოლსტოის გავიხსენებდით, ხან — პუშკინს, ხან — ლერმონტოვს, ხან — ბუნინს, ხან — ოკუჯავას.**

აი, რუსეთის ნამდვილი სახე... ვითომ სამხრეთ ოსეთისთვის იკლავს თავს და, როგორც ვხედავთ, მთელ საქართველოს ბომბავს!

ერთად უნდა დავდგეთ!

**ტარიელ ჭანტურია,**
პოეტი.

### ვიდგეთ, ვით გოდოლი — შეურყეველი

**— უნდა ვიდგეთ, როგორც შეუვალი ციხე-სიმაგრე, ვით გოდოლი — შეურყეველი, როგორც ვიყავით ყოველთვის — მართალნი, მაღალი სულით და ღმერთთან მყოფნი...**

ჩვენ უნდა გავამხნევოთ ჩვენი არმია, უნდა გვჯეროდეს ჩვენი სიმართლის... რაც შეეხება რუსს, მას მსოფლიო დაამარცხებს!..

**რეზო ესაძე,**
კინორეჟისორი.

### ერთად დგომა გვმართებს!

**— აღარ შემიძლია!.. სიგარეტს მქონდა თავი დანებებული და ისევ დავიწყე... ღამე აღარ მძინავს... ჩვენ რა უნდა გავაკეთოთ — პოლიტიკოსებმა იფიქრონ, ჭკუა დაატანონ ყოველ ნაბიჯს... რუსეთი ცბიერია... ჩვენ, საზოგადოებას კი ერთად დგომა გვმართებს.**

გამიხარდა, ამ ძნელბედობის ჟამს პოზიცია და ოპოზიცია რომ გაერთიანდა და ერთ აზრზეა... როგორც მითხრეს, გუშინწინ 150000 რეზერვისტი შეიკრიბა ერთ დაძახილზე. ასე უნდა ვიდგეთ, თუ გამარჯვება გვსურს!

**დიმიტრი ერისთავი,**
მხატვარი

### ახლა უნდა გამოჩნდეს ამერიკის მეგობრობა

**— ამას როგორ წარმოვიდგენდი... რუსეთმა საბოლოოდ აჩვენა თავისი სახე...**

ეს დიდი პროვოკაციაა და ამიტომ ხელისუფლებას მართებს დიდი გამჭრიახობის, დიდი დიპლომატიის გამოჩენა. და ერთიც: სწორედ ახლა უნდა გამოჩნდეს ამერიკის მეგობრობა, მისი დახმარება, მისი დიდი ავტორიტეტი... შეიძლება ითქვას, რომ ეს მათი ვალია... ვნახოთ...

**ვახტანგ ჯავახაძე,**
პოეტი

### ესაა მეზობლობა?!

**ყველაფერს წარმოვიდგენდი, მაგრამ თუ XXI საუკუნეში რუსეთი ასე გაუსწორდებოდა ერთმორწმუნე მეზობელს, ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი.**

აქამდე სულ მიკვირდა, რატომ არიდებდა თავს ბატონი პუტინი საქართველოში ჩამოსვლას. თურმე რა ზრახვები ჰქონია გულში.

არადა, ჩემი ხანგრძლივი სპორტული კარიერისა და სამართალდამცავ ორგანოებში საქმიანობის განმავლობაში ჩრდილოელებთან მრავალი ტკბილად მოსაგონარი ეპიზოდი მაკავშირებს. სწორედ ამ ტრაგიკულ დღეებში ველოდებოდი მეგობართაგან თანაგრძნობის ზარებს, მაგრამ ჯერჯერობით არსაიდან ხმა, არსით ძახილი. ვიმედოვნებ, ისინი აწი მაინც შეუძახებენ ზესახელმწიფოს ლიდერებს, რომ მიმდინარე სამარცხვინო კამპანიის შედეგები ბუმერანგივით დაუბრუნდებათ თვით მათ.

**ამირან სხიერელი.**
კალათბურთელი

### დიდ კაცთან პატარა კაცსაც გაუვა მართალი!

**პეკინში გუშინ დაიწყო და მთელი ფრონტით გაიშალა ოლიმპიური თამაშები. მთელი მსოფლიოს ყურადღება ახლა ჩინეთის დედაქალაქისკენ არის მიმართული. სამწუხაროდ, ჩვენ აღარ გვეპეკინება, რადგან „უფროსმა ძმებმა“ ფართომასშტაბიანი საოკუპაციო გამოუცხადებელი ომი წამოიწყეს საქართველოს წინააღმდეგ. შეშფოთებულია მოსახლეობა, აღშფოთებას ვერ მალავენ მოქალაქეები. გუშინ რედაქციაში სახელოვანი მძლეოსანი, ოლიმპიური ჩემპიონი რობერტ შავლაყაძე შემოგვეხმიანა:**

— ამას რას მოვესწარი ამ ხნის კაცი! როგორი თბილი ურთიერთობა, როგორი მეგობრობა გვქონდა რუსებთან! ყოველ შემთხვევაში, უწინ ასე გვეგონა. თურმე რამდენი ბოღმა სდებიათ გულში. რა დავუშავეთ, ნეტავ, ასეთი?

ამდენი ხანია, სამშვიდობოების სახელით შემოსულნი საქართველოს გაერთიანებას უშლიან ხელს, სათავისოდ ითლიან ჩვენს ტერიტორიებს. მალა გაეზარდათ — სამაჩაბლო და აფხაზეთი ეცოტავათ, მთელი საქართველოს ანექსიით გვემუქრებიან. ამ უმსგავსო საქციელზე მთელმა მსოფლიომ, საერთაშორისო ორგანიზაციებმა ხმა უნდა აიმაღლონ. ასე გაგრძელება არ შეიძლება. ცივილიზებულ სამყაროში იარაღის ენით საუბარი არ შეიძლება, რადგან უდანაშაულო ადამიანები იღუპებიან. პრობლემა მხოლოდ მოლაპარაკების გზით უნდა გადაიჭრას. ახლა ისეთი დროა, დიდ კაცთან პატარა კაცსაც გაუვა მართალი.

**რობერტ შავლაყაძე**
მძლეოსანი

### დაკავებული რუსი პილოტების ვინაობა ცნობილია

**ცნობილი გახდა ქართული მხარის მიერ ჩამოგდებული რუსული მოიერიშე თვითმფრინავების, კერძოდ „სუ-25“-ის ერთ-ერთი მფრინავის ვინაობა.**

**იგორ ჟინოვი, რომელიც ამ დროისთვის დაკავებულია, დაბადებულია 1997 წლის 31 მარტს. ჟინოვი მოსკოვის გარეუბანში, კერძოდ, ქალაქ ჟუკოვსკში უფროს მფრინავ-გამომცდელად იყო მივლინებული.**

**დაკავებულია კიდევ ორი დაჭრილი რუსი პილოტი, ნაპოვნია გარდაცვლილის გვამიც, რომლის გვარიც, სავარაუდოდ, ჟავჩინია.**

### როკის გვირაბთან 10 რუსული ტანკი ააფეთქეს

**ცხინვალის რეგიონში, როკის გვირაბთან რუსეთის თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი 10 ტანკი იწვის. ტანკებს ცეცხლი საქართველოს სახელმწიფოს საჯარისო შენაერთების არტილერიული დანაყოფების ძლიერი შეტევის შემდეგ გაუჩნდა.**

**რუსულ ტანკებთან ერთად ასევე დაზიანებულია მათივე კუთვნილი რამდენიმე საარტილერიო დანადგარი. რუსული მხრიდან არის მსხვერპლი. რუსი დაჭრილები და გარდაცვლილები როკის გვირაბით ვლადიკავკაზში გადაჰყავთ.**

### რუსი ჟურნალისტი პროტესტის ნიშნად სამსახურს ტოვებს

**საქართველოში აკრედიტებული რუსული სატელევიზიო არხ „რაშენ თუდეის“ კორესპონდენტი უილიამ დაბნარი პროტესტს აცხადებს რუსეთის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული ტოტალური აგრესიის გამო და, ნიშნად ამისა, „რაშენ თუდეის“ ტოვებს. ამის შესახებ მედია.გე-ს სარწმუნო წყარომ აცნობა.**

**მედია.გე მოუწოდებს ქართულ მედია საშუალებებს ამ ინფორმაციის ტირაჟირება მოახდინონ და მორალური მხარდაჭერა გამოუცხადონ უილიამ დაბნარს.**

### თბილისიდან დასავლეთისკენ ტრანსპორტის მოძრაობა შეიზღუდა

**თბილისიდან გორის მიმართულებით ტრანსპორტის მოძრაობა შეზღუდულია. ამის შესახებ საქართველოს შს სამინისტროს წარმომადგენელმა შოთა უტიაშვილმა განაცხადა.**

**მისივე თქმით, ავტომანქანებით გადაადგილებაზე შეზღუდვა დაწესებულია იმ მძღოლებისთვის, რომლებიც გორის მიმართულებით მოძრაობენ.**

**უტიაშვილის განმარტებით, შეზღუდვა გამოწვეულია ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენებით და დროებითია. სხვა მიმართულებით გადაადგილება შეზღუდული არ არის.**

### ოქრუაშვილი სამშობლოსათვის საბრძოლველად მზადაა

**საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი მზადაა ქვეყნისთვის მძიმე ჟამს რიგით ჯარისკაცად იბრძოლოს. აღნიშნული განცხადება ოქრუაშვილის პარტიის პრესსამსახურმა გაავრცელა.**

**მიუხედავად წარსულში არსებული აზრთა სხვადასხვაობისა, ირაკლი ოქრუაშვილი სრულ მხარდაჭერას უცხადებს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს და ყველა ქართველ ჯარისკაცს დღევანდელ, ქვეყნისთვის მძიმე ჟამს და მზადაა საქართველოში რიგით ჯარისკაცად დასაბრუნებლად.**

ინტერპრესნიუსი და ჯი-ეიჩ-ენი



რას წერენ ჩვენზე

# რუსეთის არმია საქართველოში „აიძულებს მშვიდობას“




**რუსეთის 58-ე არმიის ნაწილები, რომლებიც პარასკევს შეიყვანეს სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში საქართველოს ტერიტორიაზე, დაპირისპირებულ მხარეებს „აიძულებს მშვიდობას“.**

როგორც რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა განაცხადა, „ჩვენი სამშვიდობოები და მათთვის გადაცემული ნაწილები ამჟამად ახორციელებენ ოპერაციას, რათა აიძულონ ქართული მხარე, დაიცვას მშვიდობა. მათთვე ეკისრებათ პასუხისმგებლობა მოსახლეობის დაცვისათვის. ამჟამად ჩვენ ყველა ამ საქმით ვართ დაკავებული“.

ეს განცხადება მედვედევმა გააკეთა შაბათს კრემლში თავდაცვის მინისტრთან ანატოლი სერდიუკოვთან და რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსთან ნიკალაი მაკაროვთან შეხვედრის დროს.

ამ დროს მოდის ცნობები ქართველ და რუს სამხედროებს შორის ბრძოლების შესახებ.

როგორც ფრანს პრესის სააგენტოს საქართველოს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ ალექსანდრე ლომაიამ განუცხადა, „მიმდინარეობს გააფთრებული ბრძოლები რუს აგრესორებთან“.

რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იტყობინებიან ბრძოლების გაგრძელების შესახებ ცხინვალის რაიონში, თუმცა აღნიშნავენ, რომ შეტაკებანი არ ყოფილა ისეთი ინტენსიური, როგორც წინა ღამით.

შაბათს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ რუსეთის ავიაციის საჰაერო თავდასხმების შედეგად განადგურებულია ნავსადგური ქალაქ ფოთში.

რეიტერის სააგენტო იტყობინება, რომ დაიბომბა საქართველოს ქალაქი გორი, რომელიც ახლოსაა სამხრეთ ოსეთთან.

„58-ე არმიის ნაწილები და ქვედანაყოფები, რომლებიც შემოსულია რუსი სამშვიდობოების მხარდასაჭერად ცხინვალში, მთის პირობებში ეწევიან ბრძოლას ქართველ მეომრებთან ცხინვალის გარეუბანში და დაიწყეს მზადება ოპერაციისათვის, რათა აიძულონ მხარეები მშვიდობისათვის“, – აცნობა ჟურნალისტებს რუსეთის ფედერაციის სახმელეთო ჯარების მთავარსარდლის თანაშემწემ პოლკოვნიკმა იგორ კონაშენკოვმა.

ოპერაციას ხელმძღვანელობს არმიის გენერალი ვლადიმერ ბოლდირევი, რომელიც ამ დღეებში დაინიშნა რუსეთის სახმელეთო ჯარების მთავარსარდლად.

როგორც კონაშენკოვის სიტყვებიდან ჩანს, „იძულება“ უწინარეს ყოვლისა ნიშნავს „ნებისმიერი ცეცხლის მკაცრ შეწყვეტას საარტილერიო და საავიაციო დარტყმებით“.

„ვლადიმერ ბოლდირევის მიერ დასმულია ამოცანა მკაცრად აღკვეთონ ნებისმიერი ცეცხლი სამშვიდობოების პასუხისმგებლობის ზონაში“, – განაცხადა მან.

კონაშენკოვმა აღნიშნა, რომ ცხინვალში გადასროლილია სატანკო, საარტილერიო, მოტომსროლელი და დაზვერვითი ქვედანაყოფები 58-ე არმიისა საშტატო საბრძოლო ტექნიკით. ჩრდილოეთ კავკასიის უახლოეს აეროდრომებზე თავმოყრილია შტურმანი თვითმფრინავები.

კონაშენკოვმა აღნიშნა აგრეთვე, რომ გასულ ღამით სამხრეთ ოსეთში დაიღუპა სამი რუსი სამხედრო მოსამსახურე. ამრიგად დანაკარგების რაოდენობა გაიზარდა 15-მდე. დაახლოებით 50 სამხედრო მოსამსახურე დაჭრილია.

ქართული მხარე იტყობინება სულ ცოტა 30 სამხედრო მოსამსახურის დაღუპვის შესახებ.

ზუსტი მონაცემები დაღუპულთა შესახებ მშვიდობიან მოსახლეობაში არ არის. ზოგიერთი ცნობის თანახმად სამხრეთ ოსეთიდან, მსხვერპლთა რაოდენობა მშვიდობიან მოსახლეობაში 1400 კაცზე მეტია.

*„58-ე არმიის ნაწილები და ქვედანაყოფები, რომლებიც შემოსულია რუსი სამშვიდობოების მხარდასაჭერად ცხინვალში, მთის პირობებში ეწევიან ბრძოლას ქართველ მეომრებთან ცხინვალის გარეუბანში და დაიწყეს მზადება ოპერაციისათვის, რათა აიძულონ მხარეები მშვიდობისათვის“, — აცნობა ჟურნალისტებს რუსეთის ფედერაციის სახმელეთო ჯარების მთავარსარდლის თანაშემწემ პოლკოვნიკმა იგორ კონაშენკოვმა*

BBC

# რისკენ ისწრაფვის რუსეთი

**ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის გამოცემათა უმეტესობამ თავიანთი მოწინავე სტატიები მიუძღვნეს კონფლიქტს საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის და ამ კონფლიქტში რუსეთის ჩართვას. მაგალითად, ავტორიტეტული ამერიკული გამოცემა დი უოლ სტრიტ ჯორნელი სტატიაში „ომი კავკასიაში“ აღნიშნავს, რომ ომი გარკვეული პერიოდის განმავლობაში უნდოდა რუსეთსაც და საქართველოსაც და „გაჭიანურებული კონფლიქტის თავიდან აცილების შანსები ამჟამად ძალიან მცირეა“.**

დღევანდელ სიტუაციაში გაურკვეველია, თუ რომელი მხარე არის უფრო მეტად დამნაშავე დღევანდელ საბრძოლო მოქმედებებში. საქართველო ამტკიცებს, რომ სამხრეთ ოსეთის საზღვრისკენ წამოსულია ჯარები მას შემდეგ, რაც ბოევიკებმა დაარღვიეს შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. მაგრამ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილი დიდი ხანია გვპირდებოდა, რომ აიღებდა სამხრეთ ოსეთს და კიდევ ერთ სეპარატისტულ რესპუბლიკას აფხაზეთს და, ეტყობა, ვერ შეაფასა სათანადოდ მოსკოვის რეაქცია.

„ყველაზე დიდი საკითხი ამჟამად ისაა, შეეცდება თუ არა მოსკოვი უბრალოდ აღადგინოს ძველი სტატუსკვო სამხრეთ ოსეთში – რომლის დროსაც რუსეთი და მეამბოხეები კონტროლს უწევდნენ თავისი ტერიტორიის დიდ ნაწილს – თუ წავა კიდევ უფრო შორს და დაამარცხებს საქართველოს, ჩამოაგდებს სააკაშვილს“, – წერს გაზეთი. რუსეთის ტელევიზია იტყობინებოდა, რომ ქართველმა ჯარისკაცებმა მოკლეს სულ ცოტა 10 რუსი სამხედრო მოსამსახურე და „ანადგურებენ“ დაჭრილ რუსებს – რაც სახიფათო ნიშანია იმისა, რომ კრემლი ცდილობს ააზუნტოს საზოგადოებრივი აზრი დიდი ოპერაციის წინა პერიოდში.

გამოცემა მიუთითებს, რომ დასავლეთმა უკვე აჩვენა თავისი მოუმზადებლობა, გამოდევნოს მოსკოვი კავკასიიდან: გერმანიამ დაბლოკა საქართველოს მიერთება ნატოს წევრობის გეგმასთან, ვინაიდან ბერლინს არ სურდა მოსკოვის გაღიზიანება და რუსებმა უსათუოდ შენიშნეს ის ფაქტი, თუ როდის უნდა მიიღონ გადამჭრელი ზომები სააკაშვილის მთავრობის წინააღმდეგ, რომელსაც იგი დიდი ხანია არ სცემს პატივს, როგორც რეფორმატორს და იმყოფება მოსკოვის ორბიტის გარეთ.

„დასავლეთს უნდა სცოდნოდა ასეთი გამოსავალი“, – დარწმუნებულია გაზეთის რედაქცია. რუსეთი წამლავდა ფეთქებად ქართველ ლიდერს ემბარგოთი და იარაღის ჟღარუნით. საქართველო იძულებული იყო მოეთმინა რამდენიმე ათასი რუსი სამხედრო თავის ტერიტორიაზე. აპრილში რუსეთმა ჩამოაგდო აფხაზეთის თავზე საქართველოს მზვერავი თვითმფრინავი – ესე იგი საქართველოს საჰაერო სივრცეში. უკანასკნელი წლების განმავლობაში რუსეთი აძლევდა თავის პასპორტებს სეპარატისტებს. ამჟამად ეს გამოიყურება როგორც განზრახვად: რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა განაცხადა, რომ დაიცავს რუსეთის მოქალაქეების სიცოცხლესა და ღირსებას, სადაც უნდა იმყოფებოდნენ ისინი.

შეიძლება, სააკაშვილი, ბოლოს და ბოლოს, გაღიზიანდა და პირველმა გადაწყვიტა საპასუხო მოქმედებები. თუ ეს ასეა, ეს იქნებოდა უდიდესი შეცდომა, ვინაიდან სააკაშვილი ერთვება ბრძოლაში უფრო დიდ ოპონენტთან და თავის ქვეყანას დიდი ზიანი მიაყენა ნატოში შესვლისათვის მზადყოფნის გამო. დასავლეთს შეუძლია მხარი დაუჭიროს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მაგრამ არავის არ უნდა რუსეთთან ომი. ამჟამად იმის ამოცანა, რომ მხარეებმა უკან დაიხიონ, ეკისრებათ ნატოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს, ასკვნის რედაქცია. გუშინ პეკინში პრეზიდენტმა ბუშმა საბრძოლო მოქმედებანი განიხილა პუტინთან ერთად – ორივე ლიდერი იმყოფება ოლიმპიადაზე. პრემიერ-მინისტრმა უნდა მოისმინოს, რომ ოსეთის გამოყენება, როგორც საბაბი იმპერიალიზმისათვის, გახდება შედეგი რუსეთის დასავლეთთან ურთიერთობისა.

მეორე ამერიკული გაზეთის **„ვაშინგტონ პოსტის“** რედაქცია სტატიაში „შევაჩეროთ რუსეთი“ წერს: „საეჭვოა, მაგრამ არა შეუძლებელი, რომ რუსეთი გეგმავდეს დაიპყროს მთელი საქართველო. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი მიზნები საკმაოდ ცინიკურია. ქვეყნის შენარჩუნება მუდმივი ტერიტორიული გახლეჩისა და კონფლიქტების მდგომარეობაში აიძულებს ნატოს, რომ მან გადაწყვიტოს, თუ რამდენად არასტაბილურია საქართველო ამ ორგანიზაციის წევრობისათვის და ამით არ დაუტოვოს არავითარი შანსი მას გარდა იმისა, რომ დაემორჩილოს მოსკოვის „გავლენას“. ცხადია, რუსეთს განზრახული აქვს, განახორციელოს სასწრაფო სამხედრო „დასჯა“ სააკაშვილისა, შემდეგ კი აღადგინოს არასტაბილური მდგომარეობის რაღაც ვერსია“.

*დასავლეთმა უკვე აჩვენა თავისი მოუმზადებლობა, გამოდევნოს მოსკოვი კავკასიიდან: გერმანიამ დაბლოკა საქართველოს მიერთება ნატოს წევრობის გეგმასთან, ვინაიდან ბერლინს არ სურდა მოსკოვის გაღიზიანება და რუსებმა უსათუოდ შენიშნეს ის ფაქტი, თუ როდის უნდა მიიღონ გადამჭრელი ზომები სააკაშვილის მთავრობის წინააღმდეგ, რომელსაც იგი დიდი ხანია არ სცემს პატივს, როგორც რეფორმატორს და იმყოფება მოსკოვის ორბიტის გარეთ*

გაზეთს მიაჩნია, რომ იდეალური იქნებოდა, თუ სიტუაციაში ჩაერთვებოდა გაეროს უშიშროების საბჭო და მისცემდა სანქციას ნამდვილ სამშვიდობო კონტინგენტს რუსეთის სამშვიდობოების სანაცვლოდ, რომელიც გადაიქცა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ფაქტობრივ ოკუპაციად. მაგრამ რუსეთის ვეტოს უფლება ასეთ ვარიანტს გამორიცხავს. ამიტომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და მისმა მოკავშირეებმა ნატოში ერთობლივად უნდა დააწესონ ფასი, რისი გადახდაც მოუწევს რუსეთს, თუ ის არ შეცვლის სათანადოდ თავის კურსს.

„თუ საქართველოს დავტოვებთ დახმარების გარეშე, ეს გადაიქცევა საშინელ სიგნალად სხვა ყოფილი საბჭოთა ქვეყნებისა და ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებისათვის, რომლებიც აღშფოთებული არიან მოსკოვით და მიდიან დემოკრატიის გზით და სრული დამოუკიდებლობით. დასავლეთმა უკვე დაუშვა მსგავსი შეცდომა ადრე და აღარ უნდა გაიმეოროს იგი“, – ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი.

დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთი წამყვანი გამოცემის **„დი ტაიმსის“** სარედაქციო სტატია „საქართველო ომის ზღვარზე“ ყურადღებას ამახვილებს სააკაშვილის გამონათქვამზე, რომელშიც იგი რუსეთის საბრძოლო ტექნიკის გამოჩენას საქართველოს ტერიტორიაზე ადარებს საბჭოთა ჯარების შეჭრას ავღანეთში 1978 წელს და ჩეხოსლოვაკიაში 1968 წელს. ის პირდაპირ მიმართავს ამერიკის შეერთებულ შტატებს და ნატოს და შემდეგ აღნიშნავს: „ამჟამად ეს უკვე მხოლოდ საქართველოს საქმე როდია. ესაა ხელყოფა ამერიკაზე, მის ღირებულებებზე“.

მაგრამ ეს კონფლიქტი უფრო ნაკლებ შეეხება ამერიკას, ვიდრე ფუნდამენტურად საპირისპირო შეხედულებების მქონე საბჭოთა კავშირის დაშლას, მიაჩნია გაზეთს. დასავლელმა ოპტიმისტებმა ამ გეოპოლიტიკურ მიწისძვრაში დაინახეს 14 ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო პუტინის დამარცხებული რუსეთის გარშემო და უშიშროების აპარატი, რომელმაც იგი მოიყვანა ხელისუფლების სათავეში. ამას გაზეთი მიიჩნევს კატასტროფად, რომელიც მეთოდურად უნდა დავაბრუნოთ უკან. და რუსეთის საგარეო პოლიტიკა ამ დარგში – ესაა თამაში „ნულოვანი“ შედეგით, რომელშიც დასავლეთის გამარჯვებები უნდა გადაიქცეს რუსეთის დანაკარგებად.

„ამ კონტექსტში დასავლეთის დაპირება შეინარჩუნოს უკრაინისადმი ერთგულება, აგრეთვე საქართველოსადმიც, შეიძლება აღმოჩნდეს აღმაშფოთებელი. მაგრამ ეს ვერ ამართლებს რუსეთის ვიწრო შეხედულებას მთელს „უახლოეს საზღვარგარეთთან“. ზუსტად ასევე დასავლეთის ინტერესები საქართველოში, უეჭველია, განპირობებულია მისი ნავთობსადენების ხარისხით, და მისი პოლიტიკით. მაგრამ ეს არ აუფასურებს საქართველოს სუვერენიტეტს“, – წერს გაზეთი და აღნიშნავს, რომ მოსკოვმა ზუსტად აღიარა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, ხოლო სააკაშვილმა უფრო მშვიდ მომენტებში მისცა სამხრეთ ოსეთს სერიოზული წინადადებანი ავტონომიის შესახებ საქართველოს შემადგენლობაში. „ეს უნდა გახდეს სერიოზული საფუძველი სასწრაფო დიპლომატიური ძალისხმევისა, რომელთა მიზანი იქნება მხარეების დაშორიშორება“, – აღნიშნავს გაზეთი.



რას წერენ ჩვენზე

# „თანაფარდობამ კოსოვოს ფაქტორი დაარღვია“

## შეკითხვები ამერიკელ კრემლენოლოგს მარშალ გოლდმანს

*„ვაშინგტონის მხარდაჭერამ საქართველოსთვის ხელი შეუწყო იმას რომ სამხრეთ ოსეთს მიაყენეს საბრძოლო დარტყმა“. ასეთია შეერთებულ შტატებში ერთ-ერთი დიდი კრემლენოლოგის მარშალ გოლდმანის თეზისი. ის დარწმუნებულია, რომ საქართველოს არჩევანმა არ დააბნია ამერიკელები.*

**— რა მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსთვის მხარდაჭერას ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან?**

— ყოველგვარ ეჭვგარეშეა, რომ ვაშინგტონის მხრიდან მხარდაჭერამ უზრუნველყო საქართველოს მთავრობის პოლიტიკური და სტრატეგიული გარანტიები, რაც აუცილებელი იყო შეტევისათვის. მაგრამ ეს მხარდაჭერა არ აღმოჩნდა გადამჭრელი ფაქტორი იმის გათვალისწინებით, რომ კავკასიაში არ არის სტაბილური მდგომარეობა.

**— სიტუაციაზე კონტროლი დაკარგეს ამერიკელებმა?**

— მე ვუპასუხებდი, რომ არა. პირიქით, ის რაც ხდება, ალბათ, უნდა მივაკუთვნოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს. არ მინდა ვთქვა, რომ თეთრმა სახლმა მოიწონა სამხედრო იერიში სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ, მაგრამ ამის გამოცნობა შეიძლებოდა. საერთოდ ფსონია ჩადებული სხვადასხვა ინტერესზე და არა მხოლოდ ეროვნულ არ რეგიონულ ინტერესებზე, არამედ ეკონომიკურზეც. საქართველო აშენებს გაზსადენს, რომელიც აზერბაიჯანს შეაერთებს თურქეთთან. რუსეთი კი არ შეურიგდება იმას, რომ ირღვევა მისი მონოპოლია ბუნებრივ გაზზე. ამრიგად, უკანასკნელ პერიოდში გაძლიერდა ზემოქმედება მეზობელ ქვეყანაზე, რომელმაც, თავის მხრივ, მოახდინა რეაგირება ისე, რომ აირჩია მომენტი, როდესაც მთელი მსოფლიოს ყურადღება მიპყრობილი იყო სხვა მოვლენაზე.

**— ამერიკა კვლავ დაუჭერს მხარს თბილისს?**

— მე ვფიქრობ, რომ კი, თუმცა მოცემულ კონკრეტულ ეტაპზე ვაშინგტონი ითამაშებს შუამავლის როლს, რაზეც მეტყველებს მოლაპარაკება სახელმწიფო მდივან კონდოლიზა რაისსა და ორი ქვეყნის მთავრობებს შორის. პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს არასოდეს გამოუტანია განსახილველად საკითხი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის ხელშეწყობის შესახებ.

**— რამდენად იმოქმედა კოსოვოს დამოუკიდებლობამ რეგიონზე?**

— ძალიან დიდად. მოსკოვმა აჩვენა თავისი უნარი, დაიცვას სერბია და იყენებს დასავლეთის მხარდაჭერას კოსოვოსადმი სამხრეთ ოსეთის ავტონომიის სამხედრო დაცვისათვის, სადაც რუსები შეადგენენ მოსახლეობის უმეტესობას. თბილისმა უპასუხა ძალით უკანასკნელი თვეების პროვოკაციებზე.

*მომავალი იქნება მკაცრი და იქნება იგი დაკავშირებული იმ ძალასთან, რაც მოსკოვს აქვს ენერგეტიკული თვალსაზრისით. იტალია მიიღებს რუსეთისაგან 30 პროცენტ გაზს, გერმანია კი 40 პროცენტს. მიწოდების შემცირების პერსპექტივა — შესანიშნავი დიპლომატიური ბერკეტია ევროპასთან ურთიერთობისათვის. მეორე მხრივ, ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერა საქართველოსადმი გამოიწვევს სიტუაციის დაბრუნებას. დე ფაქტო სამხრეთ ოსეთი დარჩება დამოუკიდებლად*

LA STAMPA

**— თქვენ ამ ცოტა ხნის წინათ გამოაქვეყნეთ წიგნი „ნავთობის სახელმწიფო, პუტინი, ხელისუფლება და ახალი რუსეთი“. რა მომავალი ელის კავკასიას?**

— მომავალი იქნება მკაცრი და იქნება იგი დაკავშირებული იმ ძალასთან, რაც მოსკოვს აქვს ენერგეტიკული თვალსაზრისით. იტალია მიიღებს რუსეთისაგან 30 პროცენტ გაზს, გერმანია კი 40 პროცენტს. მიწოდების შემცირების პერსპექტივა — შესანიშნავი დიპლომატიური ბერკეტია ევროპასთან ურთიერთობისათვის. მეორე მხრივ, ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერა საქართველოსადმი გამოიწვევს სიტუაციის დაბრუნებას. დე ფაქტო სამხრეთ ოსეთი დარჩება დამოუკიდებლად.

**ფრანჩესკო სემპრინი**

# გაეროს უშიშროების საბჭომ კვლავ ვერ მიაღწია შეთანხმებას სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით

**გაეროს უშიშროების საბჭომ დაასრულა უკანასკნელი ერთი დღე-ღამის განმავლობაში მეორე სხდომა, რომელიც მიეძღვნა სიტუაციას სამხრეთ ოსეთში, მაგრამ ვერავითარი გადაწყვეტილება ვერ მიიღო.**

სხდომა მოწვეული იყო საქართველოს მოთხოვნით. ახალი კონფრონტაციების შესახებ ცნობები არ არსებობს.

რუსეთი იღვწის, რათა მიღებული იქნეს დოკუმენტი, რომელიც დაგმობდა საქართველოს მოქმედებას.

გაეროსთან ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივი წარმომადგენელი ზალმაი ჰალი ჰალილზადი აღნიშნავს, რომ „საქართველო მზად არის დათანხმდეს ცეცხლის შეწყვეტას“.

„მთავარია, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს მხრიდან მეტად მკაფიოდ და ხმამაღლა მოვიდეს სიგნალი ცეცხლის შეწყვეტის აუცილებლობის შესახებ, — განაცხადა მან. — კონფლიქტის მხარეებს მოუწევთ შემდგომში სერიოზული მოლაპარაკებანი, „მაგრამ ჯერ საჭიროა ბოლო მოეღოს ძალის გამოყენებას“.

მისმა რუსმა კოლეგამ ვიტალი ჩურკინმა საპასუხოდ განაცხადა, რომ „საჭიროა არა მხოლოდ მოწოდება ცეცხლის შეწყვეტისათვის, არამედ იმის კონსტატაციაც, რომ დაირღვა შეთანხმებები, რომლებიც გვეხმარებოდნენ მშვიდობის შენარჩუნებაში კონფლიქტების რეგიონში უკანასკნელი 14 წლის განმავლობაში. საჭიროა, სიტუაცია დაუბრუნდეს იმ მდგომარეობას, რომელიც აქ არსებობდა თბილისის აგრესიის დაწყებამდე სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ“.

ჩურკინის აზრით, „კეთილგანწყობით მიუთითებდე თბილისის მხარეზე, ეს არ არის ის გზა, რომელსაც შეუძლია მიგვიყვანოს ამ მეტად მწვავე და სახიფათო კონფლიქტის სიტუაციის გადაწყვეტამდე“.

სხდომის დამთავრების შემდეგ ჰალილზადმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ „ამერიკა გმობს რუსეთის სამხედრო მოქმედებას საქართველოში, რაც წარმოადგენს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას“.

„ჩვენ მოვუწოდებთ რუსეთის ძალებს, შეწყვიტონ სამხედრო თვითმფრინავების, რაკეტებისა და სახმელეთო ჯარების იერიშები“, — დაუმატა მან.

ანალოგიური მოწოდებით პარასკევს გამოვიდა სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი.



სხდომაზე მოხდა შეხლა-შემოხლა ჩურკინსა და საქართველოს წარმომადგენელ ირაკლი ალასანიას შორის, რომელმაც ორჯერ აიღო სიტყვა, რათა კომენტარი გაეკეთებინა რუსი დიპლომატის გამონათქვამებისათვის.

თავდაპირველად საქართველოს ელჩმა განაცხადა, რომ გაოცებულია რუსი კოლეგის სიტყვებით ეთნიკური წმენდის შესახებ, რომელიც, თითქოსდა, მიმდინარეობს სამხრეთ ოსეთის სოფლებში ქართველი სამხედროების მიერ. შემდეგ მან დასვა შეკითხვა, „რა უნდა გაეკეთებინა საქართველოს, რომ თქვენს თვითმფრინავებს შეეწყვიტათ საქართველოს დაბომბვა“?.

პასუხად ჩურკინმა ურჩია თბილისს, „დიდი ბოდიში მოიხადონ იმასთან დაკავშირებით, რომ უპასუხისმგებლო ავანტიურისტული მოქმედებებით საქართველოს ხელისუფლებისა დაიღუპა ასობით მშვიდობიანი მოსახლეობა და სამხრეთ ოსეთის დედაქალაქი აღმოჩნდა დანგრეული 24 საათის განმავლობაში, — და „განაცხადოს იმის შესახებ, რომ იგი მზად არის ამიერიდან მაინც პატივი სცეს იმ შეთანხმებებს, რომლებიც საშუალებას იძლეოდნენ შეგვენარჩუნებინა მშვიდობა კონფლიქტის ზონაში 14 წლის განმავლობაში“.

*ულიარებელი რესპუბლიკის წარმომადგენლებისა და რუსი გენერლის მარატ კულახმეტოვის ცნობით, ქართული მხარე დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში ეწეოდა საარტილერიო და ნაღმსატყორცნებით შეტევას ქალაქზე. ცხინვალის ხელისუფლების წარმომადგენელმა ირინა გაგლოევამ მასობრივი ინფორმაციების საშუალებებისათვის მიცემულ განცხადებაში აღნიშნა იმის შესახებ, რომ ქალაქში არ არის საკმარისი საკვები და განსაკუთრებით სასმელი წყალი.*

BBC

სამხრეთ ოსეთიდან მოსული ცნობებით, ქართველმა სამხედროებმა დატოვეს ცხინვალი.

ულიარებელი რესპუბლიკის წარმომადგენლებისა და რუსი გენერლის მარატ კულახმეტოვის ცნობით, ქართული მხარე დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში ეწეოდა საარტილერიო და ნაღმსატყორცნებით შეტევას ქალაქზე. ცხინვალის ხელისუფლების წარმომადგენელმა ირინა გაგლოევამ მასობრივი ინფორმაციების საშუალებებისათვის მიცემულ განცხადებაში აღნიშნა იმის შესახებ, რომ ქალაქში არ არის საკმარისი საკვები და განსაკუთრებით სასმელი წყალი.

# შეუძლებელია, რომ ამერიკამ არ იცოდა

**საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ტელევიზიით გამოაცხადა სამხრეთ ოსეთზე დარტყმის შესახებ და ეს ნაბიჯი განმარტა იმის აუცილებლობით, რომ საჭიროა აღდგეს „კონსტიტუციური წესრიგი“.** „წესრიგი“, რომელიც არ არსებობდა 16 წლის განმავლობაში, როდესაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველომ უმალვე გამოაცხადა თავისი დამოუკიდებლობა, ამის შემდეგ კი სამხრეთ ოსეთმაც გამოაცხადა საქართველოსგან დამოუკიდებლობა და მოითხოვა თბილისისაგან ისეთივე უფლებები, რასაც საქართველო მოითხოვდა რუსეთისაგან. მხოლოდ ბორის ელცინის რუსეთი არ წასულა ამის გამო საქართველოში ომით მაშინ, როდესაც საქართველომ შეუტია სამხრეთ ოსეთს, ამოხოცა იქ სულ ცოტა 2 ათასი მცხოვრები. მაგრამ თბილისმა მაინც ვერ შეძლო წინააღმდეგობის დაძლევა კიდევ იმიტომ, რომ არა რუსეთმა, მაგრამ რუსეთის გენერლების ნაწილმა, აგრეთვე მოძმე ოსებმა ჩრდილოეთ ოსეთიდან ხელში აიღეს იარაღი, უზრუნველყვეს ზურგის უსაფრთხოება და დაეხმარენ თავიანთ სამხრეთ ოსეთელ მოძმეებს. მას შემდეგ სიტუაცია რჩებოდა უცვლელი. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მანდატის მიღების შემდეგ, რომლის წევრიც მაშინ იყო საქართველოც, თუმცა ამ სტრუქტურაში არ ასრულებდა აქტიურ როლს. რუსებმა საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის საზღვარზე განალაგეს თავიანთი ჯარის ნაწილები. სამხრეთ ოსეთმა შეიქმნა მთავრობა, პრეზიდენტი. მისი მოსახლეობის რიცხოვნობა 100 ათასს არ აჭარბებდა და ოსებს, რომლებიც ცხოვრობდნენ რუსეთის ტერიტორიაზე ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსით, ჰქონდათ შესაძლებლობა დაეკმაყოფილებინათ სამხრეთ ოსეთის მოთხოვნა ელექტროენერგიაზე, გაზზე, კვების პროდუქტებზე, მოსკოვი კი, თავის მხრივ, უხდიდა მათ პენსიებსა და ხელფასებს.

თბილისს არასოდეს ულიარებია სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. მოსკოვს არასოდეს ულიარებია ოსეთის დამოუკიდებელი ქვეყნის სტატუსი. და ასე გრძელდებოდა ათი წლის განმავლობაში. და, ამრიგად, როდესაც სააკაშვილი აცხადებს საკონსტიტუციო წესრიგის აღდგენის განზრახვას, მას მხედველობაში აქვს წესრიგი, რომელიც არ არსებობდა პრაქტიკულად პოსტსაბჭოთა საქართველოს დაბადების დღიდან.

ამიტომ ჩნდება შეკითხვა: რატომ ამჟამად? რატომ ასე სწრაფად? იქნებ, თბილისს ეშინოდა, რომ მას დაიპყრობდა დედაქალაქი ცხინვალი, ქალაქი, რომელიც უფრო პატარაა, ვიდრე პავია? ეჭვი არ არის, ეს არ არის განმარტება. განმარტება იმალება ევროპულ დროშაში, ცისფერ დროშაში, რომელსაც აქვს მრავალი ყვითელი ვარსკვლავი, რომელიც სააკაშვილმა დაიყენა თავის ზურგს უკან და რომელიც კარგად მოჩანდა გუშინწინდელი

*თბილისს არასოდეს ულიარებია სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. მოსკოვს არასოდეს ულიარებია ოსეთის დამოუკიდებელი ქვეყნის სტატუსი. და ასე გრძელდებოდა ათი წლის განმავლობაში. და, ამრიგად, როდესაც სააკაშვილი აცხადებს საკონსტიტუციო წესრიგის აღდგენის განზრახვას, მას მხედველობაში აქვს წესრიგი, რომელიც არ არსებობდა პრაქტიკულად პოსტსაბჭოთა საქართველოს დაბადების დღიდან*

LA STAMPA

გამოსვლის დროს, როდესაც მან გამოაცხადა შეტევის შესახებ. ეს გადაჭარბებაა იმიტომ, რომ საქართველო არ შედის ევროპის შემადგენლობაში. ეჭვი არ არის, სააკაშვილი მოქმედებდა ისე, რომ მიღებული ჰქონდა კონსულტაცია თავისი ძირითადი კეთილმყოფელისაგან — შეერთებულ შტატებისაგან. და თუ მან დაიწყო მოქმედება, მაშასადამე მიიღო ვაშინგტონის მოწონება. სხვა რამის წარმოდგენა ნიშნავს, რომ ვერ გაიგო ამერიკის ზეგავლენის წონა დღევანდელ საქართველოზე. პრობლემა ის არის, რომ რუსეთი დღეს ის აღარაა, რაც იყო 1992 წელს, როდესაც ბორის ელცინი ვაშინგტონმა და რუსმა ოლიგარქებმა პენსიაზე გაუშვეს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დაღუპულები ცხინვალსა და ოსურ სოფლებში არიან ძირითადად, რუსი მოქალაქეები, რომლებსაც ჯიბეებში რუსეთის პასპორტები უწყვიათ.

სააკაშვილის გაანგარიშება გასაგებია: თუ რუსეთი სერიოზულად გაბრაზდება, უფრო მშვიდად მოითხოვს ნატოში დაუყოვნებლივ მიღებას, შემდეგ კი ევროკავშირშიც. რას ფიქრობს ამასთან დაკავშირებით ევროპა? ჰავიერ სოლანას არ შეუძლია თქვას უკეთესად და უფრო მეტი, რასაც მას ავალებენ ევროპის ქვეყნების მთავრობები, რომლებიც იზიარებენ ვაშინგტონის სტრატეგიას. ამერიკის სტრატეგია მეტად გასაგებია: ჰყავდეს რუსეთი ზემოქმედების ქვეშ, ჩაითრიოს ბრიუსელიც ამ ლოგიკაში.

რჩება საკითხი, რომელიც უნდა დაუსვას ევროპამ თავის თავს და რომელიც ყველა ჩვენგანმა უნდა დაუსვას საკუთარ თავს, ვისაც სწამს ხალხის უფლება თვითგამორკვევაზე. განა ამ გზით შეიძლება ამ პრობლემის გადაჭრა? ახალგაზრდა ოსთა თაობა გაიზარდა საქართველოსთან ომის პირობებში, ცხინვალის სკოლების ეზოებში სასაფლაოებია, საფლავების ქვებზე კი აწერია ომის დროს დაღუპულ მოსწავლეთა სახელები. ისტორია სამარცხვინოდ მოიგონებს მათ, ვინც ხელს უწყობდა ამ განადგურებას. თუ, რასაკვირველია, სიტუაცია არ შეიცვლება კიდევ უფრო უარესად. ამის გამორიცხვა კი არაფრით არ შეიძლება.

**ჯულიეტო კიეზა**

რას წერენ ჩვენზე

# ქართული ჯარები რუსეთის მიერ მხარდაჭერილ სეპარატისტებს უტევენ



სამხრეთ ოსეთის დედაქალაქში დაიწყო სეროზული ბრძოლები. ქართული ჯარები ავიაციის მხარდაჭერით უტევდნენ რუსეთის მიერ მხარდაჭერილ ამბოხებულებს. ომი დაიწყო ძალიან მალე მას შემდეგ, რაც საქართველოს პრეზიდენტმა სააკაშვილმა საზეიმოდ მოუწოდა ოსურ მხარეს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. ამას წინ უსწრებდა მთელი დღის სისხლიანი შეტაკებანი, რასაც მოჰყვა სულ ცოტა 15 კაცის დაღუპვა.

თავის ტელეცნობაში ბატონმა სააკაშვილმა შესთავაზა სეპარატისტებს „დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ცეცხლი და დაუყოვნებლივ დაიწყონ მოლაპარაკებანი“. მან გაიმეორა ავტონომიისათვის შეთავაზებული წინადადება ფართო უფლებების შესახებ საქართველოს ფარგლებში და დაუმატა, რომ შეთანხმების გარანტად მზად არის მიიჩნიოს რუსეთი.

მაგრამ შუაღამემდე ცოტა ხნით ადრე საქართველოს მთავრობამ განაცხადა ოპერაციის დაწყების შესახებ „საკონსტიტუციო წესრიგის აღდგენისათვის“. თვითმხილველთა ცნობით ღამის ცხინვალი განათებული იყო აფეთქებებით.

ქართული ჯარები უტევენ ცხინვალს. ისინი ბომბავენ ქალაქს, განაცხადა ოსი სეპარატისტების ლიდერმა ედუარდ კოკოითიმ. როგორც ამტკიცებენ, მეამბოხეების დასახმარებლად მოდიან ასობით რუსი და აფხაზი მოხალისეები. ქართული ხელისუფლების მონაცემებით, რუსეთიდან სამხრეთ ოსეთში შემოდიან „დაქირავებულები“ ტანკებითა და სხვა მძიმე ტექნიკით.

ცხინვალში ათასობით ხალხი იმალება იმპროვიზებულ თავშესაფრებში და საკუთარი სახლების სარდაფებში. რუსეთის ტელევიზია უჩვენებს ხანძრების სურათებს.

„ჩვენ უკვე ორი დღეა აქ ვართ, – განუცხადა რუსეთის ტელეარხს „ვესტი-24-ს“ ხანდაზმულმა ქალმა, რომელიც იჯდა სარდაფში თავისი ოჯახის წევრებთან ერთად. „აქ საშინელებაა. ჩვენ არ ვიცით დაიკავეს თუ არა ქართველებმა ესა თუ ის შენობა, – დაუმატა მან, თან ბნელ სარდაფში გადაყირავებულ სანთელს ასწორებდა. – ჩვენ დროც კი არა გვქონდა წამოგველო რადიომიმღები“.

ნიუ-იორკში შეიკრიბა გაეროს უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომა, რათა განეხილა რუსეთის მიერ მომზადებული განცხადება, რომელიც გამოხატავდა სერიოზულ შეშფოთებას ძალის ესკალაციის შესახებ და მოუწოდებდა მხარეებს „დაუყოვნებლივ შეწყვიტონ სისხლისღვრა და უარი თქვან ძალის გამოყენებაზე“. საქართველოს წარმომადგენელმა არ დაიწყო წინასწარი განცხადებების გაკეთება იმის შესახებ, ეთანხმება თუ არა მისი ქვეყანა საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტას.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო თავის ღამის განცხადებაში მოუწოდებს გამოიყენონ ძალისხმევა სისხლისღვრის შეწყვეტისათვის. „ჯერ კიდევ არ არის გვიან, თავიდან ავიცილოთ მასობრივი სისხლისღვრა და ახალი მსხვერპლი. – რუსეთის ფედერაცია არ იშურებს ძალისხმევას, რათა თავიდან ავიცილოთ შემდგომი სისხლისღვრა და დავაბრუნოთ სამხრეთ ოსეთში სიტუაცია სამშვიდობო კალაპოტში“.

დაძაბულობა რუსეთსა და საქართველოს შორის დაიწყო აპრილში მას შემდეგ, რაც ვლადიმერ პუტინმა, რომელიც ამთავრებდა თავის საპრეზიდენტო ვადას, უბრძანა თავის ხელქვეითებს განამტკიცონ ეკონომიკური კავშირები სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან.

*დაძაბულობა რუსეთსა და საქართველოს შორის დაიწყო აპრილში მას შემდეგ, რაც ვლადიმერ პუტინმა, რომელიც ამთავრებდა თავის საპრეზიდენტო ვადას, უბრძანა თავის ხელქვეითებს განამტკიცონ ეკონომიკური კავშირები სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან*

THE TIMES

ორივე ოლქი გამოეყო საქართველოს 90-იანი წლების ბოლოს, მათი მოსახლეობის უმეტესობას რუსეთის პასპორტები აქვს. ამ კვირაში მოსკოვმა გამოაქვეყნა გაფრთხილება, რომ ომის დაწყების შემთხვევაში გულგრილი არ დარჩებოდა. ამჟამად ასეთი პერსპექტივა ახლოსაა, ვიდრე ოდესმე ყოფილა უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილემ დენიელ ფრიდმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და რუსებმა გადაწყვიტეს ერთობლივად იმოქმედონ საბრძოლო მოქმედებათა შესაჩერებლად. მისი სიტყვებით, იგი ელაპარაკა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს გრიგორ კარასინს და მათ „მოილაპარაკეს ერთობლივად მიაღწიონ ომის შეწყვეტას სამხრეთ ოსეთში და პოლიტიკურ დიალოგზე გადასვლას“.

ბატონმა კარასინმა პასუხისმგებლობა საქართველოს დააკისრა და ბრალი დასდო თბილისს ომისათვის მზადებაში, თანაც გააფრთხილა იგი, რომ სიტუაციამ „მიაღწია სახიფათო წერტილს“.

საქართველოს მიერ დაწყებულმა შეტევამ რუსეთი მწყობრიდან გამოიყვანა. „საქართველოს ნაბიჯი აბსოლუტურად გაუგებარია და მოწმობს იმის შესახებ, რომ საქართველოს ხელისუფლებას არ გააჩნია ნდობის კრედიტი“, – განაცხადა რუსეთის ელჩმა იური პოპოვმა, რომელიც გაიგზავნა რეგიონში სამშვიდობო მოლაპარაკების საწარმოებლად.

თავის მხრივ, საქართველომ ბრალი დასდო რუსეთს სეპარატიზმის გაღვივებაში. „ეს ყველაფერი ისტერიული მილიტარიზმის, განუწყვეტელი სამხედრო რიტორიკისა და ნამდვილი სამხედრო პროპაგანდის შედეგია, რასაც რუსეთის სატელევიზიო არხები აწარმოებენ“, – განაცხადა სააკაშვილმა, მან მოუწოდა მხარეებს „გააერთიანონ ძალისხმევა და ბოლო მოუღონ ამ უგუნურობას“.

ზოგიერთი მონაცემებით გორის მახლობლად, ამბოხებული ოლქის სამხრეთ საზღვართან შენიშნულია კოლონა 30 ავტობუსითა და შვიდი სამხედრო სატვირთო მანქანით, რომელშიც ქართველი ჯარისკაცები იმყოფებიან. აფხაზეთმა განაცხადა, რომ კრიზისის გამწვავებასთან დაკავშირებით ის საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანს თავის საბრძოლო ძალებს.

სააკაშვილმა დაიფიცა, რომ დაუბრუნებს საქართველოს გამოყოფილ ოლქებს. მოსკოვს იგი ბრალს სდებს ანექსიის მცდელობაში. თბილისის პროდასავლური მთავრობა დარწმუნებულია, რომ მოსკოვი სპეციალურად აბუქებს კონფლიქტს, რათა ჩაფუშოს საქართველოს სწრაფვა ნატოსკენ, რის შესახებ თხოვნაც განხილული უნდა იქნას მიმდინარე წლის დეკემბერში ალიანსის შეხვედრაზე. ბატონი პოპოვი წინა ღამით მიმართავდა ნატოს მოწოდებით, გადასინჯოს საქართველოს განცხადება განვითარებულ მოვლენასთან დაკავშირებით.

გასულ კვირას რუსეთმა აღიარა, რომ მან გაგზავნა თავისი გამანადგურებლები შემოეფრინათ სამხრეთ ოსეთის ტერიტორია თბილისში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის კონდოლიზა რაისის ვიზიტის დროს. ბატონმა სააკაშვილმაც ბრალი დასდო მაშინ მოსკოვს აგრესიის აქტის განხორციელებაში, ხოლო სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მოსალოდნელია კატასტროფა, რომელიც დაიწყება იმ დროს, თუ რუსეთი არ შეწყვეტს ზემოქმედებას თავის ყოფილ სატელიტებზე.

**ტონ ჰელპინი**

# ომი ამიერკავკასიაში

**დაე, საბრძოლო მდგომარეობა სამხრეთ ოსეთში გამოიყურებოდეს აბურდულ-დაბურდულად, მაგრამ პირველი შეფასებანი მაინც არის შესაძლებელი: კონფლიქტის საბრძოლო ესკალაციაში დაინტერესებულია მხოლოდ საქართველო. რუსეთის სტრატეგიული მოქმედება მიზნად ისახავდა სტატუს-კვოს. ამიტომ უნდა მივიჩნიოთ, რომ საბრძოლო ესკალაცია მოხდა საქართველოს ინიციატივით.**

საქართველოს პრეზიდენტმა სააკაშვილმა სტრატეგიულ მიზნად სამხედრო ოპერაციისა გამოაცხადა „საკონსტიტუციო წესრიგის აღდგენა“. შესაბამისად, ქართულმა მხარემ უნდა შეწყვიტოს საბრძოლო მოქმედებანი ამ მიზნის მიღწევამდე მხოლოდ სააკაშვილის სახის დაკარგვის ფასად. კონფლიქტის განვითარების დღევანდელ ეტაპზე რუსეთს არ ჰქონდა შესაძლებლობა გარდა საბრძოლო მოქმედებებისა საქართველოს ფორმირებების წინააღმდეგ. ამერიკელი სამხედროების მიერ ნავარჯიშები და სამხედრო ბიუჯეტის სახსრებზე არსებულ საქართველოს შეიარაღებულ ძალებს (დაახლოებით 35 ათასი სამხედრო მოსამსახურეძ, რომლებმაც გაიარეს გამოცდა მეორე კრიზისულ რეგიონში, ერაყში, შეუძლიავ დაამარცხონ სამხრეთ ოსეთის ნახევრადსამხედრო ფორმირებები. სამხრეთ ოსეთის მცდელობა გამოყოფისათვის ჩაიშალა და რუსეთისათვის ეს ძალიან არახელსაყრელი იყო უფრო არსებითი სტრატეგიული დანაკარგების თვალსაზრისით. ეს არა მხოლოდ ნდობის დაკარგვაა რუსეთისადმი საქართველოს ამბოხებულ რეგიონებში, არამედ რწმენის დაკარგვაც მისი ორგანიზაციული შესაძლებლობებისადმი. ამას გარდა, ეს განამტკიცებდა სააკაშვილის პოზიციას საქართველოში და შესაძლებელს გახდიდა რამდენიმე თვის შემდეგ სავარაუდო სამხედრო ოპერაციას აფხაზეთის წინააღმდეგ.

ყოველივე ამასთან დაკავშირებით რუსეთის ხელმძღვანელობა თავისი ჯარების გადასროლით ამბოხებულ რეგიონში მიზნად ისახავს მინიმალისტურ ვარიანტს – ყოფილი სტატუს-კვოს აღდგენას.

*რუსეთის ხელმძღვანელობა თავისი ჯარების გადასროლით ამბოხებულ რეგიონში მიზნად ისახავს მინიმალისტურ ვარიანტს – ყოფილი სტატუს-კვოს აღდგენა*

DER STANDARD

საბრძოლო მოქმედებებს კონფლიქტი ფორმალურიდან გადაჰყავთ საშინაო სახელმწიფოთაშორისო ომში. ეს სიტუაციის რადიკალური შეცვლაა. რუსეთის სახით სამხედრო მოწინააღმდეგის ყოლა ნიშნავს იმას, რომ საქართველო უახლოეს პერიოდში ვერ მიიღებს შანსს ნატოში ინტეგრაციისათვის.

**გერჰარდ მანგოტი**



# „სამხედრო კონფლიქტი - ეს საქართველოსთვის თვითმკვლელობაა“

***უკანასკნელი** კვირების განმავლობაში კონფლიქტი სამხრეთ ოსეთში ღვივდებოდა – ამჟამად იგი გაჩაღდა. რეგიონი იმყოფება ომის ზღვარზე. აფხაზეთი უკვე მზადაა გახსნას მეორე ფრონტი. ბერლინში მეცნიერებისა და პოლიტიკის ფონდის ექსპერტი რუსეთში უვე ჰალბახი ანალიზს უკეთებს სიტუაციას და აღნიშნავს, თუ რა შეიძლება გააკეთოს ევროკავშირმა ან გაერომ ამასთან დაკავშირებით.*

**– როგორ შეაფასებდით საქართველოს სამხედრო თავდასხმის ლეგიტიმურობას სამხრეთ ოსეთის დედაქალაქზე?**

– საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, სამხრეთ ოსეთი შედის საქართველოს შემადგენლობაში, ამდენად ეს აქცია ფაქტობრივად საქართველოს საშინაო საქმეა. მაგრამ საერთაშორისო სამართალი აგრეთვე არ ამართლებს ამბოხებულ ნაწილების დაბრუნებას სამხედრო მეთოდებით. არსებული ნორმების შესაბამისად, ეს უნდა გაკეთდეს შესაძლებლობისდამიხედვით სამშვიდობო საშუალებებით. საერთაშორისო არენაზე საქართველო არაერთხელ გაუფრთხილებიათ სამხედრო მეთოდების გამოყენების გამო ამასთან დაკავშირებით.

**– რამდენად დიდია ამჟამად ფართომასშტაბიანი სამხედრო დაპირისპირება საქართველოსა და რუსეთს შორის? გადაიზრდება თუ არა ეს ნამდვილ ომში?**

– უკანასკნელი კვირების მანძილზე ჩვენ თვალყურს ვადევნებდით მოვლენათა განვითარებას, რისიც ბევრს დიდი ხანია ეშინოდა. მე ვლაპარაკობ სამხედრო კამპანიის განვითარებაზე, რომელიც წარმოადგენს ზამბარის დაჭიმულ სპირალს. ჩვენ ვიმყოფებით ომის ზღვარზე და ახლა აუცილებელია ყველაფერი გავაკეთოთ, რომ ეს ომი თავიდან ავიცილოთ. საერთაშორისო არენაზე ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რათა არ დაუშვათ ფართომასშტაბიანი ომი რუსეთსა და საქართველოს შორის.

*სამხრეთ ოსეთი მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოს მეორე ამბოხებულ მხარესთან აფხაზეთთან. აფხაზეთმა უკვე განაცხადა, რომ სამხრეთ ოსეთზე თავდასხმის დროს იგი მზადაა გახსნას მეორე ფრონტი*

DIE WELT

**– რა შესაძლებლობები აქვთ ევროკავშირსა და ნატოს კონფლიქტის შესამსუბუქებლად ფორმალური და არაფორმალური საშუალებებით?**

– უწინარეს ყოვლისა, საჭიროა გამოვიყენოთ ყველა არხი რუსეთთან დიალოგისათვის. რუსეთს კვლავ გაუჩნდა საქართველოზე ზემოქმედების საშუალება. საჭიროა განვუმარტოთ, რომ კონფლიქტის გადაჭრის მცდელობა სამხედრო საშუალებებით საქართველოსთვის თვითმკვლელობაა. ეს უნდა გადაწყდეს დიპლომატიური არხებით. თუ რამდენად დიდია ეს პოტენციალი, ეს უკვე სხვა საკითხია.

**– როგორ მიგაჩნიათ, იმოქმედებს ეს შეტაკება რეგიონში სხვა კონფლიქტებზე?**

– სამხრეთ ოსეთი მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოს მეორე ამბოხებულ მხარესთან აფხაზეთთან. აფხაზეთმა უკვე განაცხადა, რომ სამხრეთ ოსეთზე თავდასხმის დროს იგი მზადაა გახსნას მეორე ფრონტი. ამრიგად, ორი კონფლიქტი უკვე დაკავშირებულია ერთმანეთთან. ამას გარდა, ეს სიტუაცია ვითარდება კავკასიაში, რეგიონში, სადაც არის სხვა გადაუჭრელი ეროვნებათაშორისი კონფლიქტები. უწინარეს ყოვლისა, კონფლიქტი სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მთიანი ყარაბაღის გამო.

**ტომ ედებრეხტი**

# პეკინში, ოლიმპიადაზე









### ტყვიის სროლა

**ათ მეტრზე პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში ვაჟთა შორის ოლიმპიური ჩემპიონობა 688,2 ქულით ჩინელმა პანგ ვეიმ მოიპოვა.** მეორე ადგილზე გავიდა სამხრეთკორეელი ჯინ ოინ ო (684,5ქ, მესამე იყო ჩრდილოკორეელი კიმ იონ სუ (683ქ.

### ტყვიის სროლა პნევმატური შაშხანიდან. ქალები.

1. ეკატერინა ემონსი (ჩეხეთიქ, 2. ლუდმილა გალკინა (რუსეთიქ, 3. იასნა პეჟჩიჩი (ხორვატეთიქ.

### ძიუდო, 60 კგ. კაცები

**1. ჩიო მინ-ჰო (კორეაქ, 2. ლუდვიგ პაიშერი (ავსტრიაქ, 3. რუზენ ჰოუქსი (ჰოლანდიაქ და რიშუნ სამიროვი (უზბეკეთიქ.**

საგულისხმოა, რომ ამ წონაში გამოდიოდა წინა ოლიმპიადის ქართველი ვერცხლის პრიზიორი ნესტორ ხერგიანი. იგი პირველსავე შეხვედრაში დიმიტრი დრაგინთან დამარცხდა. დამამშვიდებელი ბრძოლა კი ებრაელ გალ იეკუტიელთან დათმო და უმედლოდ დარჩა.

### ველოსპორტი. ინდივიდუალური საგზატკეცილო რბოლა

1. სამუელ სანჩესი (ესპანეთიქ, 2. **დავიდე რებელინი (იტალიაქ, 3. ფაბიან კანჩელარა (შვეიცარიაქ.**

### ძალოსნობა. 48 კგ. ქალები.

1. ჩენ ჰიე ჰია (ჩინეთიქ, 2. სიბელ ოზქანი (თურქეთიქ, 3. ჩენ ვეი-ლინგი (ტაიპეიქ.

### ფრენბურთი

**ქალები. „ა“ ჯგუფი.** კუბა – პოლონეთი 3:1. **„ბ“ ჯგუფი.** ბრაზილია – ალჟირი 3:0, სერბეთი – ყაზახეთი 3:1.

### კალათბურთი

**ქალები. „ბ“ ჯგუფი.** ახალი ზელანდია – მალი 76:72.

### ხელბურთი

**ქალები. „ა“ ჯგუფი.** რუმინეთი – ყაზახეთი 31:19, უნგრეთი – შვედეთი 30:24.

### პლაჟის ფრენბურთი

**ვაჟები. „გ“ ჯგუფი.** შახტი – სლეკი (ავსტრალიაქ – გეორ-გია (საქართველოქ 2:0, რიკარდუ – ემანუელი (ბრაზილიაქ ფერნანდეში – მორაიშინი (ანგოლაქ 2:0. **„ე“ ჯგუფი.** ნუმერდორი – სჰეილი



(ჰოლანდიაქ – ლასიგა – შნიდერი (შვეიცარიაქ 2:0.

**ქალები. „გ“ ჯგუფი.** ბარნეტი – კუკი (ავსტრალიაქ ურიადოვა – შირიაევა (რუსეთიქ 2:1.

### კრივი

**75 კგ. 1/16 ფინალი.** კოროზოვი (რუსეთიქ – ტერბუნია (შვედეთიქ 18:6.

### ფარიკაობა

**ქალები. ხმალი. 1/4 ფინალი.** უორდი (აშშქ – ბესბესი (ტუნისიქ 15:14, იაკობსონი (აშშქ – ხომროვა (უკრაინაქ 15:11, ზაგუნისი (აშშქ – ბაო ინინი (ჩინეთიქ 15:9, ველიკაია (რუსეთიქ – ტან სიუ (ჩინეთიქ 15:9.

### ექიმებმა იყოჩაღეს

**პეკინის „ჩიტის ბუდეში“ ზაფხულის XXIX ოლიმპიური თამაშების საზეიმო გახსნის ცერემონიალს 3,5 საათის განმავლობაში 90 ათასამდე ადამიანი ესწრებოდა.** მაღალი სიცხისა და მზის დაკვრის შედეგად 570 მაყურებელს, რომლებმაც ცუდად იგრძნეს თავი, სამედიცინო დახმარება გაუწიეს. მათგან 20 კაცი გამოსაკვლევად უახლოეს საავადმყოფოებში გადაიყვანეს.







**ინტერნეტიდან**

## კრიშტიანუ „მიუ“-ში რჩება

**რამდენიმე თვე გრძელდებოდა ლაპარკი იმაზე, გადავიდოდა თუ არა „მანჩესტერ იუნაიტედის“ ნახევარმცველი, პორტუგალიელი კრიშტიანუ რონალდუ ეს-**



**პანურ სამეფო კლუბ „რეალში“ ახლა ეს ეპოპეა დამთავრდა.** პორტუგალიური გაზეთისთვის Publico მიცემულ ინიტერვიუში 23 წლის რონალდუმ განაცხადა, რომ რჩება ინგლისურ კლუბში სულ ცოტა ერთი სეზონი მაინც. „ოთხშაბათს ვესაუბრე ალექ ფერგიუსონს. მან თავისი აზრი გამოთქვა ჩემს მომავალზე, მე კი ჩემი არგუმენტები მოვიტანე. ბოლოს გადავწყვიტეთ, რომ ჩემთვის უკეთესი იქნება, თუ კი კარიერას მანჩესტერში გავაგრძელებ, – ამბობს ფეხბურთელი, – ახლავე მინდა ბოლო მოვუღო ლაპარაკს იმაზე, თითქოს მე მაიძულეს კლუბში დარჩენა – ეს ტყუილია. როგორც ადრე, მთელი სულითა და გულით ვითამაშებ „მანჩესტერში“.

ესპანური პრესის ინფორმაციით, სამეფო კლუბი პორტუგალიულ ფეხბურთელში 85 მილიონ ევროს იძლეოდა. ახლა რონალდუ იშუშებს ახლახან გადატანილ მარჯვენა კოჭ-წვივის ოპერაციას. ფიქრობენ, რომ ის მწყობრში სექტემბრის ბოლოსთვის ჩადგება.

## რა დაჯდა გრანდების გასტროლები?

**როგორც ფეხბურთის გულშემატკივრებმა იციან, რუსეთში რკინიგზის თასის გათამაშებაზე ჩასულნი იყვნენ იტალიური „მილანი “, ინგლისური „ჩელსი“ და ესპანური „სევილია“.** შარშან კი ამ ტურნირის სტუმრები იყვნენ მადრიდის „რეალი“, ჰოლანდიური პსვ და ისევ „მილანი“. მაშინ ეს 6 მილიონი ევრო დაჯდა. თუმცა ტურნირის ორგანიზატორები აცხადებდნენ, რომ წლეულს ხარჯები 1 მილიონი ევროთი შევამცირეთო, მაგრამ როგორც პრესაში გამოჟონა, „მილანსა“ და „ჩელსის“ 6-6 მილიონი ევრო გადაუხადესო, „სევილიას“ კი – 3 მილიონი.

იმავე ორგანიზატორების განცხადებით, ამ ტურნირს არც რუსეთის რკინიგზა და არც საფეხბურთო კლუბი „ლოკომოტივი“ არ აფინანსებდაო, პრესაში გაჟონილი თანხები კი ძალზე გაზვიადებულია. შემოსავალი ძირითადად მოდიოდა მთელს მსოფლიოში მატჩების ტელეტრანსლაციის უფლების, სპონსორულ-პარტნიორული პაკეტებისა და ბილეთების გაყიდვიდანო, ბილეთი კი VIP-ლოჟაში 30 ათასი რუბლი ღირებულა.

## ტიბეტს მკერდით გადაეფარა

**„ლამაზმანი და ურჩხული“ – ასე ეძახდნენ სუპერმოდელის ანდრიანა სკლენარიკოვასა და ფეხბურთში ყოფილი მსოფლიო ჩემპიონის კრისტიან კარამბეს წყვილს.**

ახლა კარამბეს გვარმა ისევ გაიჟღერა ახალ ამბებში ადრიანას წყალობით. ის აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა საქველმოქმედო აქციაში, განსაკუთრებით კი გააქტიურდა პეკინის ოლიმპიადის წინ.

2007 წლიდან ლამაზმანი ჩაება ტიბეტის განმათავისუფლებელ ბრძოლაში, აწყობდა შეხვედრებს იქაურ ბერებთან (ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა ახლახან გაიმართაქ, ყოველივე ამის მიზანი კი იყო ამ მთიანი მხარის პრობლემებისადმი მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღების მიპყრობა. თუმცა საკითხავია, როგორ უნდა ტანჯული ტიბეტელების დაცვა, საკუთარი მკერდით ხომ არა?



## ◉ ქაღლი – თივის დარაჯად!



# ვაიდან – უიმდე!

შარშან, 10 აგვისტოს, ხელისუფლებამ გამომცემლობა „სამშობლოდან“ გამოგყვარა, დღეს კი, როგორც ჩანს, რუსული იმპერიული ძალები თვითონ სამშობლოს გვართმევენ!..

ამ თავს მოხვეულმა ომმა ქართველ ჟურნალისტებს ჩვენი მიუსაფრობის წლისთავი სულ დაგვავიწყა და სამშობლოს დაცვის გრძნობა გაგვიმძაფრა...



თავს მოხვეული ომის კადრები





## ◉ სიკვდილ-სიცოცხლის კარიბჭესთან

# ქართველთა საამაყო შვილო...

### ძმაო ვახუშტი, ჭაბუა ვარ, გესალმები!



ძმაო-მეთქი, ცოტასთვის თუა ცნობილი, რომ მართლა ძმები ვართ. ეს მაშინვე დაისახა, როდესაც სამმა კეთილშობილმა ქალიშვილმა – ნუსია დიველსკაიამ, ნინო ხარატიშვილმა და მარიამ ნაკაშიძემ ქვაშვეთის ტაძარში ერთსა და იმავე დღეს ჩააბარეს სამ რაინდს – ვახტანგ კოტეტიშვილს, ქრისტეფორე რაჭველიშვილს და ერეკლე ამირეჯიბს თავისი მომავალი ოჯახისა და ნაშიერის ბედ-იღბალი.

მეორედ ჩვენი ძმობა დიდმა ქართველმა, შენმა მამამ ვახტანგმა ჩემი ნათლიობით განამტკიცა, ხოლო საბოლოოდ მაშინ გავხდით ნამდვილი ძმები, როცა ორთავემ ასაკის გამო სხვადასხვა დროს სიცოცხლის მიზნად სამშობლოსთვის სამსახური, თავდადება და იოანე მახარებლის სიბრძნე – „პირველთაგან იყო სიტყვა, სიტყვა იგი იყო ღვთისა თანა და ღმერთი იყო სიტყვა იგი“ სიცოცხლისა და ღვაწლთქმნის დევიზად დავისახეთ.

ეჰ ვახუშტი, ვახუშტი, თვალი არასოდეს მომიშორებია შენი იმ მედგარი, თავგანწირული ბრძოლისგან, რითაც მშვენიერებისა და სიბრძნის ვარაყით შემოვლებული ქართული სიტყვა მიიტანე და ჩადე ჩვენი სულიერების მრავალსაუკუნოვან კიდობანში.

ქართველთა საამაყო შვილი, შენ არ მომკვდარხარ, მხოლოდ გარდაიცვალე და დარჩი უკვდავად, სანამ ერთი ქართველი მაინც ივლის მზისა ქვეშ.

მაპატიეთ, ვერ გეახელი, ვერ ვემთხვიე შენს ნათელ შუბლს, შენზე თოთხმეტი წლით უფროსი, მიხრწნილი ბერიკაცი ვარ, მუხლი აღარ მემორჩილება.

უკვდავი ხარ, ვახუშტი! გეხვევი და იგივეს ვიქმ, როცა იქ ერთმანეთს კვლავ ვნახავთ. ეს შორი არ არის.

**ჭაბუა ამირეჯიბი**

თბილისი, 08.08.2008.

## ◉ ამ დღემ გამახსენა

აფხაზეთისთანა ზნეობრივი და ტრადიციული ხალხი მართლაცდა იშვიათად შემხვედრია. რომ არა 5-6 ათასი ადამიანის სეპარატისტებად და მეხუთე კოლონად გარდასახვა, ეს ეთნოსი მართლაც უნიკალურია.

**ავტორი**

**– უსრულდებოდა 116. ვერ შეეცვალა ცხოვრების წესი. ცოტ-ცოტას ხუხავდა ხოლმე, დილით, შუადღისით და საღამოზეც, აჯიკას აყოლებდა მხოლოდ ადესას, ასეთი ჩვევა ჩაბუდებოდა დაბადებიდანვე. ვინ არ ეჩიჩინა, შვილები და მათი ნაგრამნი... მეზობლის შვილებიც ქართველი ურუტაძეები, მაგრამ თუთუნს ვერა და ერ შეეშვა. პაწია ნაკვეთი ჰქონდა იქვე სათუთუნედ, ფაცხასთან სულ ახლოს, დათესავდა თუთუნს, რომ ამოიწვერებოდა, გადარგავდა მერე.**

# მუშნი ლაკრბა

ძალიან უყვარდა კალმახი. აკალმახს ეძახდა მას. ღელე სავსე იყო თევზით, დილით უთენია გადიოდა სათევზაოდ, აიკეცავდა გალიფეს, ჩადგებოდა ცივ ღელეში და იჭერდა თევზებს. ჩვევა ჰქონდა ეგეთი: ნაცნობი გამოივლიდა თუ უცნობი, უნდა მისალმებოდა უსათუოდ. მისალმების შემდეგ კი დაამატებდა: უშუზია ქვა.

ცხოვრობდა ეგრე მშვიდად, მაგრამ ბოლოს ნერვიულობა დასჩემდა. შვილიშვილი ასლანი სულ მუდამ ედავებოდა კარის მეზობელს, მასთან შეზრდილ ურუტაძეს. ვერ გაეგო მუშნის, რა ჰქონდა გასაყოფი ასლანსა და სულხანს. მიწის ნაკვეთზე ედავებოდნენ ერთმანეთს. ერთი ციცქნა იყო ის ნაკვეთი. უწინ ეგეთი რამე არც არასდროს მომხდარა, ახლა კი... რა ემართებათ, ვერ გაეგო. ო, რა ბედრიელი დრო გაგვიძრაო, ჩაილაპარაკებდა ხოლმე თავისთვის.

იმ დღეს...

ოო, იმ დღეს რა დაავიწყებს! ერთმანეთი დაჟეჟეს და დაალილავეს ასლანმა და სულხანმა.

იმსაღამოს შტაბში დაიბარეს ასლანი, მაიორი განრისხებული დაუხვდა.

– რა გჭირთ, რაზე იჩხუბეთ? – დაიღრიალა მაიორმა.

– მიწას მეღავება.

– მიწასო?! მიწის მეტი რა გვაქვს აქედან და ვლადივოსტოკამდე. ა, შენ ეს რევოლვერი, თავი დაიცავი. არავის არ უთხრა, ეგ რომ მოგეცი.

მეორე დღეს სულხანი დაიბარა მაიორმა მშვიდობისმყოფელთა შტაბში.

– რა გაჩხუბებთ, რა მოგდით. – დაყვავებით უთხრა მაიორმა სულხანს.

– მეუბნება, ჰო, მეუბნება, აქ ქართველები არ უნდა ცხოვრობდეთო.

– ა? ო, ეს მეტისმეტია.

– სულ მემუქრება... თან გვაგინებს ქართველებს. მაძალებს, აფხაზად ჩაეწერეო.

– ო, ეს საშინელებაა. – გაკვირვებით თქვა მაიორმა – ა, შენ ეს რევოლვერი, თავი დაიცავი არავის არ უთხრა.

* * *

უთენია გამოაღვიძა სროლის ხმამ. აკრიფა ბებერი ძვლები და ეზოში გახანსალდა. ოო, რა სურათი იხილა! სულხანს და ასლანს დაეხოცათ ერთმანეთი.

* * *

შაბათი დანიშნეს დაკრძალვის დღედ. წრიალი აუტყდა მუშნი ლაკრბას. ასლანის ხელს უსვამდა გაქვავებულ სახეზე. მერე ურუტაძეებთან შედიოდა და სულხანს ეფერებოდა. მთელი დღე ასე მიმოდიოდა აქეთიქით.

ერთმანეთის გვერდიგვერდ დაკრძალეს სულხანი და ასლანი.

ქელეხი დაკრძალვის შემდეგ შედგა, ასე ჩვევიათ ამ მხარეში.

ქელეხს მაიორიც დაესწრო.

ღვინო არ ნაყვარება და... სვა არაყი.

მუშნი კი ღედაკაცივით ქვითინებდა მთელი საღამო. არაა წესად მამართა ტირილი ამ მხარეში.

**ანზორ გვარამია**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

პასუხისმგებელი რედაქტორი
რუსლან რუსია
899 17-21-21

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
სპარტაკ ძოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.